საერთო გაზეთი

№8 (419) • 8 მარტი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ზოთა გლურჯიძე:

ბორდელი ვერ გაიხსნება ქალაქში, სადაც ბოზები არ არიან... „რუსთავი -2“ რომ არსებობს, ეს ჩვენივე უზნეობის ბრალია

„სპეცოპერაცია“ სააკაშვილისა და გვარამიას „კვერცხების“ გადასარჩენად

გიორგი აბდალაძე:

„რუსთავი-2“ და გვარამია წაგებულ თამაშს თამაშობენ!

გვარამიას რომ ნამუსი ჰქონდეს, იტყოდა, ამოვწურე ჩემი თავი ამ ტელევიზიაშიო და წავიდოდა, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობაში იმის სინდის-ნამუსიც კი არ გააჩნიათ, რომ ჩემისთანა ადამიანების წინაშე, რომლებსაც ჯოჯოხეთი გაატარეს, ბოდიში მოიხადონ.

კონსტანტინე გამსახურდია:

საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია

რატომ არ აქვს ქართულ სახელმწიფოს ფული იმისთვის, რომ მსოფლიომ გაიცნოს გია კვაშილავას უმნიშნელოვანესი აღმოჩენა?

ქვეყანა პროგრესისკენ მიდის მაშინ, როცა ხელისუფლებაში ჭკვიანი ადამიანები მოდიან, რომლებსაც შეუძლიათ შეაჩერონ აქტიური ბრიყვები

სიტყვის თავისუფლების სახელით სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ

„სპეცოპერაცია“ სააკაშვილისა და გვარამიას კვერცხების გადასარჩენად

— სტრასბურგის სასამართლომ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და ქართული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება 8 მარტამდე შეაჩერა! — ხუთი დღე-ღამეა, ერთსა და იმავეს გაჰკივის „რუსთავი-2“ და მას მხარს უბამენ ექსტაზში შესული მისი ფანები.

— ასეთი რამ არასოდეს მომხდარა! სტრასბურგის სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის საშიშროებას, წამებას ან ადამიანების ექსტრადაციას, რომელიც შეიძლება ამ ადამიანებისთვის საბედისწეროდ დამთავრდეს, — განმარტავენ „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერი ექსპერტები

და იურისტები, „ნაციონალები“, მათი განაყოფები და მოხეტიალე პოლიტიკურ პარაზიტებად ქცეული წვრილ-წვრილი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები.

დავიწყოთ იმით, რომ სტრასბურგის სასამართლოს ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, გადაწყვეტილება მიიღო ერთმა კონკრეტულმა მოსამართლემ, რომლის ვინაობა კარგა ხანს გადაიდუმლოებული იყო.

მართლაც საინტერესოა, ისეთი რა მოეჩვენა ამ პატივცემულ მოსამართლეს, რომ ორი სუბიექტის კერძო დავა ქონების გარშემო სიცოცხლის ხელყოფის, წამების და ექსტრადაციის უმნიშვნელოვანეს თემებს გაუთანაბრა და ქართული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების სასწრაფოდ და ოპერატიულად შეჩერება ბრძანა?

ვის სიცოცხლეს ემუქრებოდა ამ განაჩენით საფრთხე? ან იქნებ გვარამიას უპირებდა ვინმე კასტრაციას და მოსამართლემ „რუსთავი-2“-ის გენდირექტორის კვერცხების გადასარჩენად მართლაც უპრეცედენტო, მართლაც ჯერ არსმენილი ზომები იქნა მიღებული?

სოციალურ ქსელებში უკვე გაისმა მინიშნებები იმის შესახებ, რომ შეიძლება საქმე გვქონდეს ქრთამთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ჯოჯოხეთსაც კი ანათებს და, რა თქმა უნდა, ანათებს ევროპაშიც, აზიაშიც, ამერიკის კონტინენტზეც და ა. შ.

თუ საერთაშორისო სასამართლო ქრონიკებს თვალს მივადევნებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ქრთამს იღებენ ყველგან და, მათ შორის, ევროპაშიც.

კორუფციის, ფულადი მაქინაციების, ქრთამის, ყალთაბანდობის და თაღლითობის უამრავი ფაქტებითაა აჭრელებული უცხოური პრესის ფურცლები და ამ სათაკილო საქმიანობაში ჩართულნი არიან პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, მინისტრები...

ასე რომ, ლეგენდები იმის შესახებ, რომ იქ, ჩვენთვის სანატრელ და მისაბაძ ევროპაში, იდეალური წესრიგია და კანონს არავინ არ არღვევს, ისეთივე ტყუილია, როგორც ის, რომ „რუსთავი-2“ არის სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიის ერთადერთი გარანტი საქართველოში.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სტრასბურგელ მოსამართლეს მართლაც წაუცდა ხელი ქრთამისკენ, თუმცა, ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა დაადგინოს, რატომ დადგა ეს მოსამართლე „რევოლუციონერობის“ ხასიათზე ასე მოულოდნელად და რატომ დაარღვია დადგენილი ნორმები და წესები?

რვა მარტს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო გვეტყვის, როგორ უნდა მოვიქცეთ და რა უნდა გავაკეთოთ, თუმცა, საკითხავია, როგორ უნდა გაარკვიოს და როგორ უნდა დაადგინოს სიმართლე ექვსი დღის განმავლობაში სტრასბურგის სასამართლომ ისეთ ჩახლართულ და აბურდულ-დაბურდულ საქმეში, როგორიც „რუსთავი-2“-ის საქმეა?

ექვსი დღე კი არა, ექვსი თვეც არ ეყოფა იმას, რომ ოდნავ მაინც გაერკვე იმ უტიფარ და თავხედურ მაქინაციებში, რითაც ეს ვითომ კერძო და ვითომ დამოუკიდებელი ტელეკომპანია იმართებოდა წლების განმავლობაში „ნაცმოძრაობის“ მიერ, რომლის ჯიბის ტელევიზია იყო სინამდვილეში ეს ტელევიზია, რომელიც ახლა ეკლის გვირგვინს იდგამს თავზე და „დევნილის“ და „წამებულის“ იმიჯს ირგებს.

საქართველოს ხელისუფლებამ იქნებ ახლა მაინც წარუდგინოს სტრასბურგის სასამართლოს სათანადო დოკუმენტები თუ როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში და ჯიბიდან ჯიბეში დემოკრატიის ეს თვითმარქვია ფლაგმანი „ნაცმოძრაობის“, გაუთავებელი ყიდვა-გაყიდვის ამ მთავარი ბროკერის, მითითებებით და დირექტივებით.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბევრის მნახველი სტრასბურგის სასამართლო, რომლის გაოცებაც, ცოტა არ იყოს, რთული საქმეა, უთუოდ გაოცდება, როცა ამ დოკუმენტებს ნახავს.

საქართველოს ხელისუფლებამ, სტრასბურგის სასამართლოს და ასევე სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს და ინსტანციებს, იქნებ ახლა მაინც გააგებინოს, რომ „რუსთავი-2“- იმ „ნაცმოძრაობის“ პარტიული ტელევიზია იყო და არის დღემდე, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში გაუგონარი თავხედობით და ცინიზმით არღვევდა ადამიანის უფლებებს, ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას, განსხვავებული აზრის გამო ციხეში ყრიდა ადამიანებს, ქუჩებში ხოცავდა უდანაშაულო მოქალაქეებს.

25 ათასამდე პატიმარი (აქედან 200 პოლიტპატიმარი) 300 ათასი პრობაციონერი, ათასობით ნაწამები ადამაიანი — აი, „ნაცმოძრაობის“ „დემოკრატიული“ საქმიანობის არასრული ჩამონათვალი, რომელიც დღემდე ელის მიუკერძოებელ და ზუსტ სამართლებრივ შეფასებას ადამიანის უფლებათა დამცველი სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციებიდან და მათ შორის სტრასბურგის სასამართლოდანაც, რომლის ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოქცეულა საქართველოს მოქალაქეთა საჩივრები.

სტრასბურგის სასამართლო იმანაც შეიძლება ძალიან განაცვიფროს, თუ ვიტყვით, რომ „რუსთავი-2“ „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის მთავარი იდეოლოგი, მისი გამპიარებელი, მისი შავბნელი საქმეების „გამპრავებელ-გამთეთრებელი“ იყო და ასეთად რჩება დღემდე.

„რუსთავი-2“-ის უპირველესი ამოცანა და უმთავრესი მიზანი, მის სარედაქციო პოლიტიკას თუ ყურადღებით მივადევნებთ თვალს, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებაა.

სწორედ ამ მიზნის დაუბრკოლებლად განხორციელების-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

თვის იშველიებს იგი სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ცნებებს და როგორც საქართველოში, ასევე დემოკრატიული მსოფლიოს თვალში საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, თავისუფლების, ევროპული არჩევანის დასაცავად იბრძვის.

სინამდვილეში კი, როგორც მოგახსენეთ, ის იბრძვის იმ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ფეხქვეშ თელავდა დემოკრატიასაც, ადამიანის უფლებებსაც, სიტყვის თავისუფლებასაც.

როცა „რუსთავი-2“ მოითხოვს, არ შეიცვალოს ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკა, ის ამით, ფაქტობრივად, მოითხოვს, ისევ ძველი ენთუზიაზმით ემსახუროს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ძალადობდა ქართველ ხალხზე.

ნუთუ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 8 მარტს ადამიანის უფლებათა დამრღვევების მხარეს დადგება, რითაც კიდევ ერთხელ მიაყენებს უდიდეს შეურაცხყოფას საქართველოს და ქართველ ხალხს, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია ის კოშმარი, რაც მას თავს დაატეხა „ნაცმოძრაობამ“ და მისმა ჯიბის ტელევიზიამ „რუსთავი-2“-მა?

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებზე, რომლებსაც ვიღაც-ვიღაცები პროფესიონალიზმს უქებენ.

პროფესიონალიზმი მაშინ არის საქმე, როცა ის სიკეთეს ემსახურება.

ორმაგი ბოროტებაა, როცა პროფესიონალი ბოროტების სამსახურში დგება და თავის ბოროტ საქმეს მაღალპროფესიონალურად ასრულებს.

„რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები, რომლებიც დღეს სიტყვის თავისუფლების, ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, სამართლიანობის დამცველებად გვევლინებიან, ცხრა წლის მანძილზე ერთხელ არ აღშფოთებულან იმ ავკაცობათა და სიავეთა გამო, რასაც მათი არაფორმალური პატრონები, „ნაციონალები“ ჩადიოდნენ.

ისინი, შეიძლება ითქვას, მძევლად ჰყავდა აყვანილი „ნაცმოძრაობას“ და ზედამხედველებად ხან მერაბიშვილს უნიშნავდა, ხან ოქრუაშვილს, ხან ადეიშვილს, ხან ყველას ერთად და ისინიც მორჩილად და მაღალპროფესიონალურად ასრულებდნენ მათ მითითებებს.

აი, ეს ადამიანები ლაპარაკობენ დღეს ასეთი რიხით თავისუფლებაზე და ღირსებაზე?

ისინი 2012 წლამდეც მონები იყვნენ და 2012 წლის შემდეგაც მონებად დარჩნენ.

ეტყობა, შეჩვევა და გატკბობა იცის მონობამ, მით უმეტეს, მაშინ, როცა მაძღრისად გაჭმევენ.

მერე რა, რომ თანამემამულეთა სისხლის და ცრემლის გემო დაჰკრავს ამ მსუყე ლუკმას.

სინდისზე თუ აიღებ ხელს და შუბლის ძარღვს თუ გაიწყვეტ, ყველაფერს ადვილად გადაყლაპავ და ადვილად მოინელებ...

აი, ასეთების და ამნაირების ინტერესების დაცვას აპირებს სტრასბურგის სასამართლო?

დავუშვათ და, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩენი უსამართლოა, მაგრამ განა სამართლიანი იქნება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ქვეყნის დამაქცევარი „ნაცმოძრაობის“ მთავარ ტრიბუნს და რუპორს „რუსთავი-2“-ს, კვლავ მიეცემა საშუალება, დაუბრკოლებლად გააგრძელოს ქვეყნის დესტაბილიზაციისა და მუდმივი დაძაბულობისთვის ხელსაყრელი ფონის შემზადება?

როგორც ვთქვით, დავუშვათ და, უსამართლოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი სამართალი, მაგრამ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი უსამართლო განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს უსამართლო განაჩენს აბათილებს?

დაბოლოს: რას ნიშნავს მინიშნება, რომ „რუსთავი-2“-ის სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობას ხელი არ უნდა შეეშალოს?

თუ ამ ტელეკომპანიის მესაკუთრე სხვა გახდება, მან სტრასბურგის სასამართლოს მითითებით იგივე სარედაქციო პოლიტიკა უნდა გაატაროს, რასაც საკაშვილის ხელისბიჭი ნიკა გვარამია ატარებს დღეს „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ?

ყოველივე ეს განა საფუძველშივე არ ეწინააღმდეგება სიტყვის თავისუფლების უმთავრეს პრინციპებს?

სიტყვის თავისუფლების სახელით სიტყვის თავისუფლებას ვებრძვით?

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თუ მაინც მოხდა გაუგონარი ამბავი და სტრასბურგის სასამართლომ „რუსთავი-2“-ის დემაგოგიას და ფარისევლობას დაუჭირა მხარი, მაშინ არ ყოფილა სამართალი ამ ცოდვილ დედამიწაზე და ეგ არის...

ვახტანგ ხარჩილავა

მიმართვა ქართველ ხალხს

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში უკვე დაიწყო ულტრალიბერალური იდეოლოგიის სერიოზული გადაფასება-რევიზია, საქართველო კვლავ რჩება ულტრალიბერალური ძალების ტყვეობაში, რომლებიც ქვეყანას დესტაბილიზაციისა და ქაოსისკენ მიაქანებენ.

...სანამ, მსოფლიოში მიმდინარე ეს სასიკეთო ცვლილებები ჩვენამდე მოაღწევდეს, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ქვეყანა: უნდა დავიწყოთ აქტიური, რადიკალური მოქმედება!

კერძოდ:

— უნდა დავიცვათ ქვეყანა დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლებით შენიღბული მეხუთე კოლონისგან, რომლებიც მიზანმიმართულად ანგრევენ ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს.

— უნდა დავიცვათ ჯაშუში „სახალხო დამცველისაგან“, ვინმე ნანუაშვილისაგან და ლიბერასტი მოღალატე პრეზიდენტისგან ჩვენი სასამართლო, ერი და ეკლესია.

— უნდა დავიწყოთ მკვეთრი მოქმედება და ავირიდოთ „რუსთავი-2“-ის მიერ დროში გაწელილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა! დავიცვათ ქვეყანა პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიის აღვირახსნილი ძალადობისგან“!

ურჩხულს ერთი მოჭრილი თავის ადგილზე ამოუვიდა სამი თავი და 13 ეშვი!.. „ქართულმა ოცნებამ“ დაუშვა ეს კაზუსი და ახლა ქვეყანა იმკის ამ „გაცოცხლებული“ ურჩხულის ქმედებათა შედეგებს!..

„ქართულმა ოცნებამ“ ძაღლი ვერ გადაათრია და ქვეყანას კისერზე ჩამოჰკიდა!..

ეტყობა, ეს პროცესიც ისევ ქართულმა ხალხმა უნდა დაასრულოს!

დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ გაჩნდა იმედი, მთელი კაცობრიობისთვის უბედურებად ქცეული ფსევდოლიბერასტულ-ფაშისტური სფინქსის დამარცხებისა, მაგრამ, სანამ პავლე — ტრამპი მოვიდოდეს, ჩვენ, ქართველებმა უნდა დავიცვათ ჩვენი სულიერების ზღუდეები მაკკეინებისგან და სოროსებისგან შემოგზავნილი დესანტის შემოტევებისგან.

დავიცვათ პატრიარქი და ეკლესია ანტიქრისტე არასამთავრობო სექტებისგან და სავლედქცეულ მოციქულ პეტრეს: ჩვენ უნდა გავაძროთ „ეპისკოპოსის ტყავი“!

დავიცვათ ივანიშვილი ამ ნაძირალა ნაციონალური ბანდისგან და „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული მათი კლონებისგან!

მოვუწოდებთ პრემიერს და ხელისუფლებას სიმტკიცისკენ, ადექვატურობისკენ და ქვეყნის (ხალხის) მოვლა-პატრონობისკენ...

მოვუწოდებთ პარლამენტს გამოფხიზლებისკენ: და აქეთ გამოხედვისკენ...

ხვალიდნვე უნდა დავიწყოთ მუდმივმოქმედი, ეროვნული დაცვის სახალხო კომიტეტის ჩამოყალიბება (დაარსება):

აღდგომისთვის ეს პროცესი, უფლის ნებით, უნდა დავასრულოთ!

გაზეთის მომდევნო ნომერში ჩვენ შემოგთავაზებთ მოქმედების ჩვენეულ მოდელს.

შემოგვიერთდით!

საინიციატივო ჯგუფის სახელით,

კობა არაბული,
მწერალი, მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

595 57-99-43

შოთა გლურჯიძე:

ბორდელი ვერ გაიხსნება ქალაქში, სადაც ბოზები არ არიან... „რუსთავი -2“ რომ არსებობს ეს ჩვენივე უზნეობის ბრალია

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი შოთა გლურჯიძე:

— ბატონო შოთა, დღეს გვეუბნებიან: „რუსთავი2“-ის არარსებობის გარეშე ევროატლანტიკურ კურსს, სიტყვის თავისუფლებას საფრთხე ემუქრებაო. რა კომენტარს გააკეთებთ?

— რამდენიმე დღის წინ „რუსთავი2“-ის კოლექტივმა თავად სცნო, რომ ქონება ხალვაშს წაართვეს და მას რამდენიმე მილიონის კომპესაცია შესთავაზეს. ტელევიზიის ტექნოლოგიებში საკმაოდ ჩახედული ვარ და გეტყვით, რომ თანხა, რაც მათ დაასახელეს — 4 მილიონი ახალი ტელევიზიის ასაშენებლად სავსებით საკმარისია. მაგრამ მათ სურთ სხვის ქონებაზე იყვნენ, რაღაცნაირი ვნება აქვთ წართმეულში, ნაქურდალში, დაჩაგრულის ხარჯზე არსებობის, მხოლოდ და მხოლოდ ამას ვხედავ. ესეც წესებს გარეთაა. თანაც, ხომ ვიცით, ვინც არის ამ არხის რეალური მეპატრონე, რომელსაც საკმაოდ დიდი ფული აქვს, ვგულისხმობ, ოდეს-ტურფვას. მილიარდობით დოლარის პატრონია და მაინც უნდა საწყალი აქიმიძესთვის წართმეულზე გაიხაროს. „რუსთავი2“-ის მხარდამჭერები სიცრუის და ცილისწამების უფლებას იცავენ. გაწვნენ კარვებში და ერთ ამბავში არიან. ჩემთვის ეს მორალურად, აბსოლუტურად, მიუღებელია, რადგან მე ზნეობრივი კატეგორიის ადამიანი ვარ. რადგან კონსტიტუციით ასეა, გააგრძელონ სიცრუე და ცილისწამება, ოღონდ, ქვეყნის კონსტიტუციაში ისიც გვიწერია, რომ საკუთრების უფლებაც უზენაესია.

— ამ მონსტრს ხომ წლებია ბიუჯეტიდან მოპარული თანხით არჩენდნენ, რომ „რუსთავი-2“ ხალხის ტელევიზიაა...

— გავიგე, მაგრამ ფულით ხომ არ განისაზღვრება ყველაფერი. საერთოდ, არ მესმის რას ნიშნავს ხალხის ტელევიზია. ანუ, როგორ შემიძლია მე, ერთდროულად, ყველა ხალხისნაირად ვიფიქრო. მე ხომ ჩემი ფიქრი, ჩემი შეხედულება მაქვს. როგორ შემიძლია ყველას შეხედულება ჩემსაში ჩავტიო. შესაბამისად, ასეთი უნივერსალური პროდუქტი, მედიის სახით, არ არსებობს და არც არასდროს იარსებებს.

— კონსტიტუცია ისეა მოწყობილი, სიცრუის ტირაჟირება და ამით ხალხის მანიპულირება პრობლემას არ წარმოადგენსო.

— ვთვლი, რომ სიცრუის ტირაჟირება არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ჩვენი კონსტიტუციით ეს ნორმაა. ასეთ კონსტიტუციას არ დავწერდი, მაგრამ სამწუხაროდ, მას მე არ ვწერ. დღეს, პროცესებს წარსულის ხალხი მართავს. ხალხი, რომელსაც იმის გონი არ აქვს განსაზღვროს რა რისთვის არის მოწყობილი, როგორ ააშენონ ქვეყანა. ქვეყნის მშენებლობა მარტო გზებისა და ტრანსპორტის განვითარებაში არ გამოიხატება. ეს უფრო მნიშვნელოვანი რამ არის, საზრისზე უნდა შევთანხმდეთ, რაც მუდმივად ცვალებადი, საინტერესო პროცესია და არ შეიძლება იგი მხოლოდ ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე იყოს მიბმული. სისულელეა აბსოლუტური. ჩვენ, არ ვიცით რისთვის ვცხოვრობთ. მარტო იმისთვის, რომ ვჭამოთ, დავიძინოთ, კარგად გადავაადგილდეთ და კომფორტულად ვიყოთ?! კარგად უნდა დავფიქრდეთ, რისთვის ვცხოვრობთ.

— ბატონო შოთა, ერდოღანმა მოღალატე ტელევიზიები გაანდევნა, ჟურნალისტები კი ციხეში ჩაყარა. მედიით სიცრუის ტირაჟირებას ტრამპიც დაუპირისპირდა.

—იცი, რა არ ვამბობ, რომ სიცრუე რაიმე ფასეულობას წარმოადგენს, მაგრამ იგი მხოლოდ სიმართლით ნადგურდება და არა ჟურნალისტის ციხეში ჩასმით ან ტელევიზიის აკრძალვით. აქ, უბრალოდ, სხვა რამ ვერ მოხდა — სხვა ალტერნატიული საზრისის, ჭეშმარიტების ფორმირება. მედია სივრცეს სხვა ტიპის ადამიანები უნდა ქმნიდნენ და არა ისინი, ვინც დღეს ქმნიან. ალტერნატივა უნდა გაჩნდეს, დაფინანსდეს შესაბამისი პროექტები. როცა ქართულ თეატრში განვითარებული მოვლენები არ მომეწონა, მისი ნგრევა კი არ დავიწყე, წავედი და ჩემს მეგობრებთან ერთად „თეატრალური სარდაფი“ შევქმენი. იმ პერიოდში ეს იყო ჩემი ხედვა თუ როგორი უნდა ყოფილიყო თეატრი, ეს ერთგვარი პასუხიც იყო. აი, ეს არის სწორი გზა. ტელევიზიის დახურვა, ჟურნალისტის ციხეში ჩასმა, სწორი არ არის. „რუსთავი2“ ნაქურდალზეა აღმოცენებული, როგორც პარაზიტი. მოპარულ, წართმეულ ტელევიზიაში არსებობენ და არ რცხვენიათ. ასე რომ არ იყოს, იგი, შეიძლება, მეც დამეცვა. ასეთი ადამიანების დაცვა ამორალურად მიმაჩნია, ქურდი როგორ დავიცვა?! ჯიბიდან ამოღებული ფულით არაფერი უკეთებიათ. საკუთარი თანხით, მგონი, მეგობარიც არ დაუპატიჟებიათ კაფეში — ან სახელმწიფოს ხარჯზე იყვნენ, ან გრანტების, ან მოპარული, წართმეული ფულით არსებობდნენ. ეს ის ხალხია, რომელსაც თვითონ ფასეული არაფერი შეუქმნია, არ უშრომია. იშრომონ და შექმნან. პირადად, ერთი ნიჩაბი და წერაქვი მქონდა, თეატრი ასე გავაკეთე.

— ბატონო შოთა, ბოლო დროს „რუსთავი2“-მა ყურები გამოგვიჭედა — რომ არა ჩვენ ვერ გაიგებდით სიმართლეს, თუნდაც იმას, რაც ეკლესიის თავს ხდებაო...

— ეკლესიასთან დაკავშირებით გავიგეთ სიმართლე?! — პირიქით, კიდევ უფრო დაიბურა საქმე, არავითარი სიმართლე არ გაგვიგია.

— მართლა ასეთი უკულტუროა ქართველი ერი, როგორც ტელე-ეკრანებიდან ჩანს?

— შენ გგონია ეს ხელოვნურად ხდება? — არა! ე.ი. ასეთები ვართ და „რუსთავი2“-ც იმიტომ არსებობს. დიახ, ასეთი უკულტურო, უზნეო ხალხი ვართ და სწორედ ამიტომაც ვარსებობთ ასეთ უკულტურო, უზნეო სივრცეში. თუ რამ გადარჩა, ერთადერთი ეკლესიაა და ახლა, იმასაც მივადექით, მისი კრიტიკით ვართ დაკავებული მაშინ, როცა თავად თავიდან ბოლომდე, ყელამდე ნაგავში ვართ. ახლა, იმას ვარჩევთ რომელი მეუფე უკეთესია და რომელი უარესი. ამ დროს, თავად ბორდელიდან ვქადაგებთ. როგორ შეიძლება, მე, ეკლესიას ბორდელიდან ვუქადაგო. ეს რეალობაა. მოდი, ჩვენს თავს მივხედოთ რა, ეკლესიაში თვითონ დალაგდება ყველაფერი ისე როგორც საჭიროა.

— მიშას დროს ორი საქართველო გვქონდა: ერთი რეალური და მეორე „რუსთავი2“-ის თვალით დანახული აყვავებული ბაღნარი. ახლა, ეს უკანასკნელი გვეუბნება: ჩვენ რომ არ ვიყოთ, ხალხი რეალობას ვერ დაინახავდაო. თქვენ, როგორ საქართველოს ხედავთ?

— იცი, რა „რუსთავი2“ ამდენ ტყუილს ვერ იტყოდა, თავად რომ არ ვიყოთ ამ ტყუილში. მარტივ რამეს გეტყვი. შეიძლება მე, მაგალითად არ გამოვდგები, მაგრამ თუ გინახივარ როდესმე „რუსთავი2“-ისთვის ინტერვიუ მიმეცეს ან მათ გადაცემაში ვყოფილიყავი. თუ იცი, რომ ეს უზნეობაა, ბორდელია და წუმპეა, შე კაი ადამიანო, თუ წესიერი კაცი ხარ, იქ როგორ მიდიხარ?! საზოგადოებას რომ გადაეწყვიტა და ეთქვა: მოდი, რა „რუსთავი2“-ს ინტერვიუ არ მივცეთო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. მე, ხალხს პირდაპირ მოვუწოდებდი: ნუ მიდიხართ „რუსთავი2“-ში, ნუ ჯდებით ამ წუმპეში, ნუ უწყობთ მათ ხელს-მეთქი. ასე რომ მოქცეულიყვნენ, „რუსთავი2“ თავისით დაიხურებოდა, გაქრებოდა. „რუსთავი2“-ის თანამშრომლებს ზნეობა რომ ჰქონდეთ, ისინი ამ ბინძური ფულის ჯიბეში ჩადებასა და ტყუილის ლაპარაკს არ დათანხმდებოდნენ. ეს ზნეობის საკითხია. **ბორდელი არ გაიხსნება ქალაქში, სადაც არცერთი ბოზი არ არის. თუ არ არის, საიდან მოიყვან?! რადგან ბოზები არიან, ე.ი. ბორდელიც არის. აი, ეს არის „რუსთავი2“. მოდი, ჩვენს თავს ვუმაკურნალოთ და „რუსთავი2“ თავისით გაქრება.** დღეს რაც გვაქვს, იმაში ვარსებობთ. მოდი, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ და შევესაბამოთ ჩვენს დანიშნულებას თუ რისთვის ვარსებობთ და ყველაფერი დალაგდება — შვილებს ნუ მოვატყუებთ, ტყუილში ნუ ვაცხოვრებთ, სიყვარულით ვიცხოვროთ, ნუ წავართმევთ ნურავის და ა.შ. არსებობს ათი მცნება, ცხრა ნეტარებამდე ჯერ შორია. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ალტერნატივა თუ არის, მითხრან. ვიცი, რომ ორი ათასი წელია სხვა ალტერნატივა არ გაჩენილა. თუმცა, კი არის უსქესო, ამორალური ცხოვრება, მაგრამ ეს მთელს მსოფლიოში მთავრდება და რაღა მარტო ჩვენ უნდა ჩავრჩეთ ამ წუმპეში?! ეს წუმპე აღარავის უნდა. სულაც არ ვფიქრობ, რომ ყველამ ეკლესიაში უნდა იაროს. არის ხალხი ვინც ათეისტია, მაგრამ ზნეობრივია და ამ კულტურაში არსებობს.

— „რუსთავი2“-ის თაყვანისმცემლებმა კარვებს მიაშურეს, აქციებითაც იმუქრებიან. ხომ არ ხედავთ დესტაბილიზაციის, სამოქალაქო შუღლის გაღვივების საშიშროებას?

6 გვ. →

გიორგი აბდალაძე:

„რუსთავი-2“ და გვარამია წაგებულ თამაშს თამაშობენ!

გვარამიას რომ ნამუსი ჰქონდეს, იტყოდა, ამოვწურე ჩემი თავი ამ ტელევიზიაშიო და წავიდოდა, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობაში იმის სინდის-ნამუსიც კი არ გააჩნიათ, რომ ჩემისთანა ადამიანების წინაშე, რომლებსაც ჯოჯოხეთი გაატარეს, ბოდიში მოიხადონ.

სანამ საზოგადოების ყურადღება „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული პროცესებისკენაა მიმართული, თბილისის სააპელაციო სასამართლოში „ჯაშუში ფოტოგრაფების“ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

უკანონოდ გასამართლებული ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი და ნათია გედენიძეებისა და გიორგი აბდალაძის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულის უფლებების არსებითად დარღვევის თაობაზე. რის საფუძველზეც, საგამოძიებო უწყებამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენების გადახედვის მოთხოვნით მიმართა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებასა და თბილისის საქალაქო სასამართლოში ამჟამად მიმდინარე პროცესზე „საერთო გაზეთს“ ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე ესაუბრა.

— სტრასბურგიდან მიღებულმა შეტყობინებამ ორ რამეში დამარწმუნა: ერთი ისა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში ნამდვილად მოიძებნებიან ნაციონალების მხარდამჭერი ადამიანები და მეორე ის, რომ „რუსთავი 2“-ის ადვოკატებმა წარმატებულად იმუშავეს, მაგრამ ორივე დროებითი ღონისძიებაა, რადგან კერძო საკუთრების ხელყოფა მთელ მსოფლიოში მძიმე დანაშაულად ითვლება და შეუძლებელია ამ ტიპის დავაზე სტრასბურგის სასამართლომ განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს. „რუსთავი 2“ გვარამიას არ შეუქმნია, ამიტომ ორმაგად სამწუხაროა, რომ დღეს ბევრი ჟურნალისტი ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის მძევალია.

— რას გულისხმობთ?

— „რუსთავი 2“ მარტო გვარამია, გაბუნია და მათნაირები არ არის. ამ არხზე უამრავი პროფესიონალი და საქმის მცოდნე ადამიანი მუშაობს, რომელიც „რუსთავი 2“ დაარსების დღიდან მოჰყვება და ტელევიზიის ინტერესები ამოძრავებს. რაც შეეხება გვარამიას, მას 80 000 ლარიანი ხელფასი აქვს, თავისი „ფეისები“ ჰყავს და სულ არ აინტერესებს, რას ფიქრობენ რიგითი ჟურნალისტები ან რა ხელფასი აქვს უბრალო ოპერატორს. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი მიშას ფულისთვის იბრძვის და იმის ილუზიას ქმნის, რომ რევოლუციას ამზადებს. მერწმუნეთ, მის გარეშე, „რუსთავი 2“ მხარდამჭერ აქციაზე ბევრად მეტი ადამიანი მივიდოდა. ნიკა გვარამია„რუსთავი 2“ ანადგურებს, რადგან პარტიული ტელევიზიის ხელმძღვანელის აზროვნებიდან ვერ გამოვიდა. სხვათაშორის, „რუსთავი 2“ შემადგენლობა მახსოვს მათივე ქორწილებიდან, რომელთა გადაღება რამდენჯერმე მომიწია. მახსოვს, როგორ სვამდნენ „ვახტანგურებს“ ახალაიებთან ერთად. როგორ ჰყავდათ თამადებად თოფურიძეები და ა.შ. თავიანთი ქორწილების ვიდეოჩანაწერები რომ გამოაქვეყნონ, „რუსთავი 2“-ის თანამშრომლების სრული ლუსტრირება მოხდება. ასეთი ცხოვრების წესი ჰქონდათ. ვანო მერაბიშვილი მათი კერპი იყო, რადგან ბინებს და მანქანებს ჩუქნიდა, ქორწილებს უხდიდა, ხელფასებს და პრემიებს აძლევდა და ა.შ. ეს პრივილეგიები დაკარგეს და ბუნებრივია, რომ იმ დროს მისტირიან. ნაციონალური მოძრაობა მიეჩვია, რომ სასამართლო მათი ნების უსიტყვო აღმსრულებელი იყო, როგორც მანამდე ხდებოდა, მაგრამ მათთვის სამწუხაროდ და ქვეყნისთვის სასიხარულოდ, სასამართლომ ყველანაირ წნეხს და ზეწოლას გაუძლო. იმ პერიოდისგან განსხვავებით, როცა სასამართლო გადაწყვეტილებების 99,9% გამამტყუნებელი იყო, დღეს სხვა სტატისტიკაა. ამიტომ უნდა მიხვდნენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას და ნიკა გვარამიას „სამარეში“ არავინ ჩაჰყვება. შეიძლება რამდენიმე ჟურნალისტი გაჰყვეს, დანარჩენები კი ყველაზე მაგარ, წარმატებულ და ძლიერ ტელევიზიას შექმნიან, რომელიც არაჩვეულებრივ რეიტინგებს მიაღწევს. ჭადრაკში არის ასეთი პოზიცია - ცუკცვანგი, როცა ნებისმიერი სვლა წამგებიანია. სწორედ ამ პოზიციაში იმყოფება ახლა „რუსთავი 2“-ს გენერალური დირექტორი, რომელმაც ზუსტად იცის, რომ წაგებულ თამაშს თამაშობს.

— იქნებ, გაიხსენო „ჯაშუში ფოტოგრაფების საქმე“, რომელიც წინა ხელისუფლების ერთ-ერთ სირცხვილად იქცა.

— ჩვენ რეაბილიტაციის მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ და ამჟამად პროცესები მიმდინარეობს. უმძიმესი ბრალდებით დაჭერილ ადამიანებს, რომლებსაც წინა ხელისუფლება არარსებული დანაშაულის აღიარებას წამებისა და მუქარის უსასტიკესი მეთოდებით თხოვდა, საკუთარი სიმართლის მტკიცება გვიწევს.ამ პროცესებზე ჩვენთვის ყველაზე მთავარია, რომ ჩვენი რეაბილიტაცია და იმის აღიარება მოხდეს, რომ თავის დროზე, სასამართლომ უდანაშაულო ადამიანებს ჯაშუშობა და ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა დააბრალა. ნაციონალებისგან განსხვავებით, ჩემი საშშობლო ღმერთივით მიყვარს და ომის დროს, ეგენი ხიდებზე რომ გარბოდნენ და გამორბოდნენ, ჩვენ ჩვენი ფოტოაპარატებით ფრონტის წინა ხაზისკენ გავრბოდით და ბოლომდე ვიღებდით. ამიტომაა სირცხვილი, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი გერქვას.

— შეიძლება, რომ პროცესების დასრულების შემდეგ, თქვენს საქმესთან დაკავშირებით, რომელიმე ყოფილ ჩინოსანს ბრალი წაუყენონ ან დაუმძიმონ?

— პროკურატურამ მოკვლევა დაასრულა და დაადგინა, რომ ჩვენ უკანონოდ გასამართლებულები ვიყავით, ახლა სასამართლოს ჯერია და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანენ. რეალურად, დევნოზაშვილი, რომელიც ჩვენს საქმესთან დაკავშირებით, პატიმრობაშია, მხოლოდ სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის და ბოკერიას ბრძანებებს ასრულებდა. მისი პირადი ინიციატივა ალბათ შვილის ლიკვიდაციის მუქარა და მანქანის გადაფორმების მოთხოვნა იყო. სახელმწიფომ უნდა აღიაროს, რომ ნაციონალური მოძრაობის პერიოდში, ჩვენს მიმართ დანაშაული ჩაიდინა და მჯერა, რომ ასეც მოხდება. ამის იმედს დღევანდელი, არსობრივად განსხვავებული სასამართლო და პროკურატურა მაძლევს. მარტო ის, რომ სასამართლო პროცესები გახსნილია და ჟურნალისტებს დასწრება შეუძლიათ, რამდენს ნიშნავს. გემახსოვრებათ, ნაციონალური მოძრაობის პერიოდში, ჟურნალისტებს შენობის მიმდებარე პერიმეტრზეც კი არ აჩერებდნენ. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ საძინებლებში უვარდებოდნენ და ფარული კადრებით აშანტაჟებდნენ. დღეს ჟურნალისტებს თავისუფლად მუშაობის საშუალება აქვთ. სხვათა შორის, „რუსთავი 2“ ჩვენს მხარდამჭერ ყველა აქციას ესწრებოდა, მაგრამ არც ერთს არ აშუქებდა. შეიძლება, პიროვნულად ყველა ჟურნალისტი ხვდებოდა, რომ უდანაშაულოები ვიყავით და არაფრის გამო, ჯოჯოხეთი გავიარეთ, მაგრამ არაფერი შეეძლოთ. ეს ჟურნალისტების კი არა, იმ წნეხის ბრალია, რომელიც ტელეკომპანიაში მაშინაც და ამჟამადაც არსებობს.

— სტრასბურგმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა. როგორ ფიქრობთ, რით დასრულდება ეს საქმე?

—ძალიან კარგია, რომ საქმე სტრასბურგში წავიდა. აი, სტრასბურგირომ გამოიტანს დასკვნას, რომ ქიბარ ხალვაშს ქონება გადაუწვეს, წაართვეს და ა.შ. მერე სად მიდიან? გვარამიას რომ ნამუსი ჰქონდეს, იტყოდა, ამოვწურე ჩემი თავი ამ ტელევიზიაშიო და წავიდოდა, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობაში იმის სინდის-ნამუსიც კი არ გააჩნიათ, რომ ჩემისთანა ადამიანების წინაშე, რომლებსაც ჯოჯოხეთი გაატარეს, ბოდიში მოიხადონ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო თავის მართალ სიტყვას იტყვის და ვფიქრობ, ამაში გვარამიაც დარწმუნებულია.

ნელი თორდია
571 35 36 88

კონსტანტინე გამსახურდია:
საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია

1993 წლის 31 დეკემბერს, გამთენიისას, სოფელი ხიბულას განაპირა სახლში გასროლილმა ტყვიამ საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიცოცხლე შეიწირა. იმდროინდელი ოფიციალური ვერსიით, ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა, ამ ვერსიის სანდოობაში საზოგადოებას პირველივე დღიდან ეჭვი ეპარებოდა. 2015 წელს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო, თუმცა პრეზიდენტის ბურუსით მოცული გარდაცვალებიდან 23 წლის შემდეგაც პასუხგაუცემელია კითხვები: რა ვითარებაში დაიღუპა ზვიად გამსახურდია, ვინ დაგეგმა და განახორციელა პრეზიდენტის მკვლელობა, სად გაქრა საქმეში არსებული დოკუმენტები და რა ეტაპზეა ამჟამად გამოძიება? „საერთო გაზეთს" საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ყოფილი თავმჯდომარე კონსტანტინე გამსახურდია ესაუბრა:

— წელიწადზე მეტი დრო გავიდა, რაც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმე გადაკვალიფიცირდა. ამჟამად, ძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის ნაცვლად, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. რასაკვირველია, პროკურატურას ამის საფუძველი ექნებოდა. მე როგორც საპარლამენტო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ თავის დროზე, პროკურატურას გადავუგზავნე დასკვნა, სადაც ძალიან ბევრი მინიშნება იყო, რომ ეს თვითმკვლელობა კი არა, კარგად დაგეგმილი და განხორციელებული მკვლელობა იყო. ახლა, როდესაც საგამოძიებო ორგანოებმა ბევრი ისეთი ადამიანი დაკითხეს, რომელთა დაკითხვა კომისიამ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შეძლო, რა თქმა უნდა, მეტი ცნობებია მოძიებული. დარწმუნებული ვარ, რომ საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია, უბრალოდ, ხელისუფლებას არ აწყობს შედეგების გასაჯაროება.

— რატომ არ უნდა აწყობდეს? ვარაუდობთ, რომ საქმის ფიგურანტები ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანები არიან?

— ცხადია, ასე იქნება. გამოძიების შედეგების გარდა, ხელისუფლებამ პირდაპირ უნდა დასვას აქცენტები და აღიაროს სახელმწიფო გადატრიალება, იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების მიერ ეს ძალიან დეკლარაციულ დონეზე მოხდა. უფრო სწორად, შევარდნაძის ხელისუფლების დროს, მიიღეს ძალიან მოკლე, სულ რამდენიმე წინადადებიანი დოკუმენტი, მაგრამ რეალურად, სახელმწიფოს არ უღიარებია, რომ კანონიერად არჩეული ხელისუფლება გადატრიალების გზით დაამხეს და მისი პრეზიდენტი მოკლეს.

— როგორც იცით, საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენების დროს, ზვიად გამსახურდიას სახელიც გაჟღერდა. მეუფე პეტრემ კანონიერი ხელისუფლების დამხობა და საქართველოს პრეზიდენტის გაურკვეველ გარემოებაში გარდაცვალება ირიბად, შორენა თეთრუაშვილს და მის გარემოცვას დაუკავშირა.

— შორენა თეთრუაშვილზე ნამდვილად ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეკლესიას ზვიად გამსახურდია არასოდეს დაუცავს. არც 1991-92 წლების მიჯნაზე და არც 1993 წლის მიწურულს, როდესაც იდევნებოდა. პირიქით, მის მდევნელებსა და მკვლელებს უჭერდა მხარს. ვერ ვიტყვი, რომ აკურთხებდა, მაგრამ ასე გამოდის..

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ზვიად გამსახურდია ილია მეორეს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების მომხრე იყო, ასეთი წინააღმდეგობის მიზეზი გაუგებარია..

— ვფიქრობ, რომ ადამიანებმა, რომლებიც საპატრიარქოს პოლიტიკას წარმართავდნენ, შიშის გამო შეცდომები დაუშვეს. ამას ისტორია არავის აპატიებს და ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაცხადდება.

— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტზე დაწყებულ გამოძიებას დავუბრუნდეთ.. არა ერთ ინტერვიუში ახსენებთ საქმიდან გამქრალი დოკუმენტები. მათ კვალს ხომ ვერ მიაკვლიეთ?

— იყო ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც პროკურატურის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი, აწ განსვენებული ოთარ ჯაფარიძე გაა კერვალიშვილისთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილში წერდა, რომ რობინზონ მარგველანის თქმით, ზვიად გამსახურდიამ თავი სტეჩკინის ტიპის მაყუჩიანი იარაღით მოიკლა. ამ წერილში განსაკუთრებით საინტერესო მაყუჩის ხსენებაა, რადგან მაყუჩიანი პისტოლეტით თავს არავინ იკლავს. მაყუჩს ის ხმარობს, ვისაც მკვლელობის დამალვა და მიჩქმალვა უნდა და არა თვითმკვლელი. ჩვენ რობონზომ მარგველანის ყველა ჩვენება ვნახეთ, მაგრამ არსად, არც ერთ ჩვენებაში მაყუჩი ნახსენები არაა. ეს ნიშნავს, რომ რაღაც საბუთი არსებობდა, რომელიც გამქრალია და შემთხვევით აღმოჩნდა ნახსენები ოთარ ჯაფარიძის წერილში.

— კომისიის მუშაობის პერიოდში თქვენ ესაუბრეთ იგორ გიორგაძეს, თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს და სხვებს. მათი მონაყოლიდან რამე საინტერესო და გამოძიებისთვის მნიშვნელოვან დეტალს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— მახსოვს, იგორ გიორგაძემ ბოლოს თქვა, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია და ედუარდ შევარდნაძესთან სატელეფონო საუბარიც გაიხსენა, მაგრამ როდესაც შევთავაზეთ ოპერატიულ მონაცემებზე გადასულიყო, უარი თქვა. ოპერატიული მხარე ყველა მკვლელობას გააჩნია, რადგან ყველაფერს ჭირდება მომზადება, ორგანიზება და შესრულება. ვინაიდან, ამ მონაცემების რეკონსტრუქცია არ ხდება.

— თუმცა, 2015 წელს ვარაუდობდით რომ პროკურატურა გამოძიების დასკვნას არჩევნებამდე გამოაქვეყნებდა..

- ამის იმედი მქონდა, მაგრამ პროკურატურისგან არაფერი ისმის. როცა ვუკავშირდებით, ამბობენ ვიძიებთო და მეტი არაფერი. ამ საქმის გახსნა წინა ხელისუფლებას შეეძლო, მაგრამ ვერ გაბედა. ფაქტობრივად, სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გმირის წოდებებიც კი საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე ორი დღით ადრე მისცა. რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მას ხელს არ აძლევს ბოლომდე ითქვას სიმართლე, თორემ, როგორც ვთქვით, საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია.

ნელი თორდია
571 35 36 88



ბორდელი ვერ გაიხსნება ქალაქში, სადაც ბოზები არ არიან...

4 გვ.

— კი, რა თქმა უნდა, ასეთი საშიშროება არსებობს. ეს ყველაფერი ზნეობრივ სიბრტყეშია. როცა ადამიანებისთვის წმინდა არაფერი არსებობს, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია. მათ რომ ზნეობა ჰქონოდათ, ისიც ხომ შეუძლებელი იქნებოდა, რაც 9 წლის მანძილზე აკეთეს. დღევანდელ ხელისუფლებაზე ამას ვერ ვიტყვი. შეიძლება ბევრ რამეში პროფესიონალიზმი აკლიათ, რაღაცაში ვერ ერკვევიან და ბევრი მინუსიც აქვთ, მაგრამ საშინელების დატრიალებით არ გვემუქრებიან. რაღაცები არ მომწონს, რაც, სხვათა შორის, წინა ხელისუფლებას წააგავს, მაგრამ ახალ ხელისუფლებაში ამ ტენდენციებს ის ხალხი აღვივებს, რომელიც „ნაცმოძრაობიდან" გადმოპორტირდა. ხელისუფლებამ საკუთარი საზრისი ვერ გამოიმუშავა. შესაბამისად, იგივე ტრენდს დააჯდა. ანუ, თავად არ აქვს საკუთარი გზამკვლევი თუ რა უნდა გააკეთოს, არ აქვს მყარი პოზიცია, ეს პრობლემაა. შესაბამისად, ჰკითხოს ჩვეულებრივ ადამიანს, ეს ეთაკილებათ, რცხვენიათ. აი, რა პრობლემა, კომპლექსი აწუხებთ. რამე მაინც წაიკითხონ, მაგრამ ამასაც ხომ ცოდნა უნდა — რა წაიკითხო. შეიძლება ისეთი უბედურება წაიკითხო, მთლად დააქციო ქვეყანა, გეგმაზომიერად უნდა იკითხო. იმიტომ, რომ უსარგებლოც ბევრია დაწერილი და მავნეც. ესენი მაინცდამაინც მავნეს კითხულობენ. მინდა, მათ ვკითხო: რა წიგნებს კითხულობთ, ბატონებო? იქნებ, ყველა მინისტრმა გამოაქვეყნოს, რა წიგნებს კითხულობენ. თუ ისევ კომუნისტურ ლიტერატურას კითხულობენ, შორს ვერ წავალთ. მაგალითად, კულტურის მინისტრი სწორედ ასე აზროვნებს. მან განაცხადა: ეკლესიას ეკლესია-მონასტრები უნდა ჩამოვართვათ იმიტომ, რომ აფუჭებენო. მას ჰგონია, რომ ეკლესია ტურისტებისაა.

— ტრამპი ულტრა-ლიბერალებს დაუპირისპირდა, ჩვენთან, ეს ფრთა საკმაოდ ძლიერია...

— კი, მთავრობა მთლიანად ლიბერალებითაა დაკომპლექტებული, პრემიერ-მინისრტიც კი რაც დახვდათ, ინერციით, იმაში ტრიალებენ. ეს არის დუალიზმი — ღმერთისაც სწამთ და ჰილარი კლინტონისაც.

— ხელისუფლება თავს იმით ინუგეშებს — აწი, რაღა გვიჭირს, ხომ დავშალეთ „ნაცები". რა ხანია გვეუბნებიან: ეს ორგანიზაცია პოლიტიკურად მკვდარიაო. ის მაინც გვითხრან, სად ყავთ დამარხული?

— იცი რა, ნახევარი მილიონი ადამიანი „ნაცებს" რომ მისცემს ხმას, ამან უნდა დაგვაფიქროს. კი ვამბობ, ეს არაფერს ნიშნავს, მხოლოდ რაოდენობაა-მეთქი, მაგრამ თუნდაც, რაოდენობის თვალსაზრისით, რაღაცას ხომ მაინც ნიშნავს. არ არის საქმე მთლად კარგად. მუდმივად დაპირისპირებაში ყოფნას, სჯობს საქმეს მიხედონ. თუ თავად არ იციან როგორ მოიქცნენ, არიან ადამიანები, რომელთაც რჩევის მიცემა შეუძლიათ. ეს არის გამოსავალი. მაგრამ მინისტრმა როგორ რომელიც მორწმუნეა, ლიბერალია, როგორ ათავსებს ორივეს, არ ვიცი. არ მგონია იმის შემყურე უნდა ვიყოთ, ამერიკაში რა განვითარდება. ეს ძალიან სასაცილოა. ამაზე ვიხუმრე კიდეც — კონსტიტუციაში შევიტანოთ, რომ საქართველოში არჩევნები ამერიკის არჩევნების მერე ჩატარდეს-მეთქი იმიტომ, რომ ვიცოდეთ ვის შევეტენოთ. ასე ცხოვრება არ შეიძლება. თუ ეშმაკისკენ მივდივართ, მაშინ წავიდეთ ეშმაკისკენ. თუ სიკეთეს ვაღიარებთ, პირჯვარს ვიწერთ, მაშინ ეს ჩვენს ცხოვრებაში შემოვიტანოთ. მთავარი რეცეპტი ესაა — მოვძებნოთ გზები, რათა სიკეთე, რომელიც უკვე ორი ათასი წელია არსებობს და მოგვეცა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოვიტანოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რატომ არ აქვს ქართულ სახელმწიფოს ფული იმისთვის, რომ მსოფლიომ გაიცნოს გია კვაშილავას უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა, რომლითაც მტკიცდება, რომ საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა

ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2008 წ.

1908 წელს იტალიელმა მეცნიერმა ლუიჯი პერნიემ კრეტაზე ფესტოს დისკო აღმოაჩინა. მასზე გამოსახული წარწერების ამოკითხვა წლების მანძილზე ვერავინ შეძლო. 2008 წელს ქართველმა მათემატიკოსმა და ლინგვისტმა გია კვაშილავამ ფესტოსის დისკო წაიკითხა და აღმოჩნდა, რომ წარწერა წინარე ქართულ ენაზე იყო შესრულებული.

გია კვაშილავა: „2008 წელს ინგლისში, ხელოვნების სამეფო აკადემიასა და ლონდონის სიძველეთა შემსწავლელ საზოგადოებაში წარვადგინეთ მოხსენება თემაზე: „ფესტოსის დისკო — კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის შესახებ“. ასი მოხსენებიდან 12 დაუშვეს მოსასმენად. თორმეტი მოხსნებიდან ერთ-ერთი ჩემი იყო, რომელიც ფესტოს დისკოს გაშიფრვას ეხებოდა.

ფესტოსი არის ტოპონიმი და კრეტაზე უძველესი დასახლების სახელწოდებას აღნიშნავს.

ჩემი დაინტერესება ამ ამბით გაზეთ „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებული სტატიით დაიწყო. სტატიაში აღნიშნული იყო ფესტოს დისკოს ერთ-ერთი მკვლევარის ჰერბერტ ცებიშის მოხსენების შესახებ. ცებიში ამბობდა, ფესტოსის დისკოზე უძველეს ქართველურ ენაზე შესრულებული ტექსტიაო. მაშინ 17 წლის ვიყავი.

ფესტოსის დისკო ჩემი ნაშრომებიდან არის ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც გავშიფრე, თუმცა, იქ, კრეტაზე, აღმოჩენილია არქივი, რომელსაც პირობითად A კლასის ხაზოვანი წარწერები ეწოდება და ეს სახელწოდება სერ არტურ ევანსის შერქმეულია.

როცა ვსაუბრობთ უძველეს დამწერლობაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მიერ გაშიფრული ტექსტი არ მიეკუთვნება ანბანური დამწერლობის ნიმუშს. ფესტოს დისკო არის სილაბურ-ლოგოგრამული, ანუ მარცვლოვან-სიტყვითი დამწერლობა, ხოლო A კლასის ხაზოვანი მარცვლოვანი დამწერლობაა.

A კლასის ხაზოვან წარწერებში აღმოჩნდა 1500 სხვადასხვა არქეოლოგიურ ნივთზე. ამ ტექსტებში ვკითხულობთ საკუთარ სახელებსაც. მაგალითად, აია. ტოპონიმებს, ღვთაებათა სახელწოდებებს. ტექსტებში იკითხება ტოპონიმი კოლხეთიც.

ძვ. წ. აღ-ის IV-III ს-ის დაბლაგომის თიხის დოქზე არის წარწერა, რომელიც არის გარდაცვლილი მამაკაცის სახელი — ტეკუსიკა. ტეკუსა არის საკუთარი სახელი და ეს სახელი კნინობითი ფორმით არის ამ წარწერაში წარმოდგენელი.

მსოფლიოში დღესდღეობით აღმოჩენილია უძველესი 5 დამწერლობა — ეგვიპტური, შუმერული, პროტო-ელამური, ძველი ინდური და კრეტული. ამ დამწერლობებიდან გაშიფრულია მხოლოდ შუმერული და ძველეგვიპტური. ჩვენი თეორიის მიხედვით, კრეტული წარწერებიც გაშიფრულია.

ჩხოროწყუს მუზეუმში ინახება ქვა, რომელზეც მოცემულია იმ პერიოდის ნიშნები, რომლებიც A-ხაზოვან წარწერებში დასტურდება.

ბერძენი მკვლევარების მიხედვით, ეგეოსის ზღვისპირეთში აღმოჩენილი ცხენზე მჯდომარე დედაღმერთის ქანდაკებიდან ერთი ნაპოვნია საქართველოში, კუნძულ სამოსზე და კუნძულ კრეტაზეც. ამ აღმოჩენებმა დაადასტურეს, რომ ეს არის სამხრეთკავკასიური, უძველესი კოლხური ცივილიზაციის ნიმუშები.

აღმოჩენილია ოქროს ორმაგი ცულიც, რომელიც არის დედაღმერთის სიმბოლო. ერთი კრეტაზეა ნაპოვნი, მეორე — ცაიშში. გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი წერს, რომ ქართველებს უძველესი დამწერლობა ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან აქვთ გადმოტანილი არა იმიტომ, რომ ქართველები იქ ცხოვრობდნენ და არა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ამ სივრცეში ქართველური მოდგმის ტომების განსახლება, გამოჩენილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიხედვით, მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთში არის სავარაუდებელიო. ეს ის პერიოდია, როცა ინდოევროპული ტომები ჯერ არ არიან გავრცელებული ევროპის კონტინენტზე. ერთ-ერთ რუკაზე ევროპელი მეცნიერების მიერ მოცემულია ველური ვაზის გავრცელების არეალი. ეს ის სივრცეა, სადაც ქართველური მოდგმის ტომები იყვნენ განსახლებულნი. ამ ტომებმა საკუთარი კულტურა კავკასიიდან ხმელთაშუა ზღვისპირეთში განავრცეს.

ჩემი სამეცნიერო მოხსენება თემაზე „A კლასის ხაზოვანი წარწერების საერთო ქართველურ ენაზე ამოკითხვის შესახებ“, ამჟამად წარდგენილია 4 სამეცნიერო კონფერენციაზე — კემბრიჯის, ჰარვარდის, ათენისა და ჰონკონგის უნივერსიტეტში.

ამ კონფერენციებზე დასასწრებად სახელმწიფო თანხებს ვერ გასცემს. მონაწილეობისა და მივლინების თანხებს გამოყოფს რუსთაველის სამეცნიერო ფონდი. თანხები გამოიყოფა კონკურსში გამარჯვებულის დასაფინანსებლად. კონკურსის შედეგებს გამოაცხადებენ ივნისში“.

როგორც ვხედავთ, მეცნიერმა მსოფლიო კონფერენციაზე დასასწრებად დაფინანსება, შესაძლოა, სავარაუდოდ, ივნისში მიიღოს, კემბრიჯის უნივერსიტეტში კი კონფერენცია მაისშია დაგეგმილი...

„A კლასის ხაზოვანი წარწერების საერთო ქართველურ ენაზე ამოკითხვის შესახებ“ პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციაზე დასასწრებად სახელმწიფო მეცნიერი გია კვაშილავასთვის თანხებს ვერ გამოყოფს. სამაგიეროდ, ქართველებმა, უბრალო მოქალაქეებმა, რომლებსაც უფრო მეტი სახელმწიფოებრივი შეგნება აღმოაჩნდათ, ვიდრე სახელმწიფო მოხელეებს, მას მწირი დანაზოგებიდან, საკუთარი ჯიბიდან გადაურიცხეს ფული...

ჩვენი ქვეყნის წარსულზე მეტად პრიორიტეტული დღეს სახელმწიფოსთვის „აეროსმიტის“ კონცერტია, რომლის დასაფინანსებლად სახელწმიფომ მილიონობით დოლარი გადარიცხა...

საქართველო უძველესი ქვეყანაა. — ეს სიტყვები მხოლოდ ტრაფარეტულ გამონათქვამად და მავანთათვის ფუჭ და თავის მოსაწონებელ რიტორიკად რომ არ დარჩეს, იმისთვის, რომ მსოფლიომ იცოდეს, საიდან მოვდივართ, იმისთვის, რომ მსოფლიო ცივილიზაციაში საქართველოს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი, თვით იმ მსოფლიომ უნდა გაიგოს ამის შესახებ. ეს არა მხოლოდ სამეცნიერო ინტერესი, არამედ სახელმწიფოს პრესტიჟის საქმე უნდა იყოს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული თიხის ფირფიტები. ძვ. წ. XVIII ს. კრეტა.

მინოსური ხანის ჭურჭელი. ძვ. წ. XVII ს. კრეტა.

მკვლელობები, რომელიც დღემდე არ გახსნილა



საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უამრავი რეზონანსული მძიმე დანაშაული, კერძოდ, მკვლელობაა მომხდარი, რომელიც დღემდე ოფიციალურად გაუხსნელად ითვლება, ხოლო იმ მკვლელობებში მსჯავრდებულთა დამნაშავეობა, რომლებიც გახსნილად გამოაცხადეს, საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი პროფესსიონალ სამართალდამცავებში ეჭვს იწვევს. სტაჟიანი „ოპერატივნიკის“, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძის განცხადებით, თითქმის ყველა ამგვარი მკვლელობა ფაქტობრივად გაიხსნა, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ, გაურკვეველი მიზეზების გამო, დღემდე ძველ სტატუსს ინარჩუნებენ.

დავით გაგნიძე: „გაუხსნელ მკვლელობებზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მხედრიონელი **ვეფხვაძისა** და **სვანაძის** მკვლელობა, რომლებიც ქობულეთის ქუჩაზე ავტომანქანაში ჩაცხრილეს. ეს მკვლელობა 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა, როცა ძალოვან სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებს მხედრიონელები იკავებდნენ. მე თვითონ მაქვს გადაცემული ტელეფონოგრამა ამ დანაშაულის გახსნის შესახებ 1996 წლის დასაწყისში, მაგრამ მერე გახსნილად აღარ გამოცხადდა. ამ საქმეში ე.წ. **ვერის საძმოს წევრები** ფიგურირებდნენ. ის პიროვნება, რომელმაც ჩვენება მისცა, რომ საკუთარი თვალით ნახა, როგორ ჩაცხრილა ამ საძმოს ერთ-ერთმა „ავტორიტეტულმა“ წევრმა ვეფხვაძე და სვანაძე, მერე დაიჭირეს და ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. სავარაუდო მკვლელის ვინაობას, რომელიც თურმე ვაზ-2109-ის კაპოტზე ასული, დამიზნებით ესროდა „მსხვერპლს“ ვერ დავასახელებ, არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა დამაბრალონ. იმას კი გეტყვით, რომ საკმაოდ „ცნობილი“ პერსონა გახლავთ, სხვა მძიმე დანაშაულებშიც იმხილებოდა, მაგრამ გავლენიანი მფარველების დახმარებით, დაუსჯელი რჩებოდა. მის მფარველთა წრეს, შემდგომში სახელშეცვლილი ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებიც განეკუთვნებიან. ეს პიროვნება კომუნისტების მმართველობის პერიოდშიც მონაწილეობდა მკვლელობაში, დაპატიმრებულიც იყო, მაგრამ სასჯელით გადარჩა, თუმცა ციხეშიც ჩაიდინა მკვლელობა და სასჯელი დაუმატეს. ეს „უყურებდა“ ქურდულ „ობშიაკს“ თუ რაღაც ასეთი, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელ პატიმრებს რაღაცაში ეჭვი შეეპარათ, მიუგზვნეს კაცი, ამან იუკადრისა, ეს როგორ მაკადრეო და მოკლა. სხვათა შორის, 1987 წელს ჩადენილი მკვლელობისთვის ამ ჩვენი „გმირის“ გარდა, კიდევ სამი პიროვნება იყო მსჯავრდებული, რამდენადაც მახსოვს, არც მათ მიუღიათ დიდი სასჯელი, არადა ახალგაზრდა კაცი თითიდან გამოწოვილი მიზეზის გამო მოკლეს. დღეს ერთ-ერთი მათგანი „დიდ“ ბიზნესმენად ითვლება და ოფიციალურად აქვს მინიჭებული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება. როგორ შეიძლება ნასამართლევ ადამიანს იარაღის ტარების უფლება მიანიჭო, მაგრამ ნასამართლეობა გაუქარწყლეს. პუტჩიდან მოკლე ხანში დანიშნული რესპუბლიკის პროკურორის რაღაც წერილის საფუძველზე, შემდგომში ვეფხვაძე-სვანაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი ციხიდან გაათავისუფლეს. რა უფლება ჰქონდა თუნდაც გენპროკურორს, რომ მსჯავრდებული ვადაზე ადრე გაეთავისუფლებინა? თუმცა მაშინ რაღაც ბუნდოვანი ამნისტიის მომიზეზებით უამრავი პატიმარი, მათ შორის მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულებიც

გია ჭანტურია

გამოუშვეს, იარაღი დაურიგეს და ვითომდა აფხაზეთში საბრძოლველად გაუშვეს. ნუთუ ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ იმას ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ქართველ ხალხს ეს ყველაფერი ძალიან ცუდად შემოუბრუნდებოდა. ამის შემდეგ დაიწყო საქართველოში ის განუკითხაობა, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ უბედურების შემოქმედთ კი დღემდე პასუხი არავინ მოსთხოვა. ხსენებული ჯგუფი კომუნისტების პერიოდშიც იმიტომ სარგებლობდა ხელშეუხებლობით, რომ ისინი საკავშირო „კაგებესთან“ იყვნენ დაახლოებული, შემდეგ ეს „პერსპექტიულ“ ახალგაზრდებად გასაღებულნი საზღვარგარეთ გაუშვეს „სასწავლებლად“. მათ დაბრუნებასა და „გადიდკაცებაში“ დიდი წვლილი ზურაბ ჟვანიას მიუძღვის.

დიდი ეჭვი მაქვს, რომ ვეფხვაძისა და სვანაძის მკვლელობა წინასწარ იყო დაგეგმილი, რის შესახებაც შსს-ს მაშინდელი მაშინდელი მაღალჩინოსნები საქმის კურსში იყვნენ. მე მაშინ ერთ-ერთი გატაცების საქმეზე ვმუშაობდი, ვარაზისხევში, უნივერსისტეტის მოპირდაპირედ, ავტომანქანით ვიდექი, როცა სამინისტროდან დამიკავშირდნენ, ქობულეთის ქუჩაზე რაღაც მკვლელობა მოხდა და გაარკვიეო. პირველად რაიონულ პოლიციაში მივედი, მათ არაფერი იცოდნენ, მგონი, რაღაც დანაშაული მოხდა, ახლა გავდივართო. საიდან გაიგეს სამინისტროში ასე ოპერატიულად, როცა ადგილობრივმა პოლიციამ არაფერი იცოდა, მითუმეტეს, რომ შემთხვევის ადგილზე ერთი პოლიციელიც კი არ დამხვედრია? როგორც გითხარით, ხსენებული მკვლელობის გახსნის შესახებ ტელეფონოგრამა მე თვითონ გადავეცი, მერე ყველა თანამშრომელს (ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური) გაგვიკვირდა, ტელეფონოგრამა გადავეცით და რატომ თქვეს არ გახსნილაო. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი პასუხისგებაში რომ მისცეს, სასამართლომ იმ მოწმის ჩვენება გაიზიარა, რომელიც უკვე გარდაცვლილი იყო, ვეფხვაძისა და სვანაძის მკვლელობის შემთხვევაში კი მოწმის ჩვენება არ გაიზიარეს. ქურდაძის მკვლელობის მოწმე ქალბატონი, რომელსაც თურმე ე.წ. მკვლელმა უთხრა, მე მოვკალი პროკურორი, რაშიც 10.000 აშშ დოლარი გადამიხადესო, კიბოთი იყო დაავადებული და სასამართლო განხილვამდე გარდაიცვალა, ე.ი. სასამართლომ ვეღარ დაკითხა, წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება სრულიად სარწმუნოდ მიიჩნიეს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საეჭვო იყო მეორე მოწმის ჩვენებაც, რომელმაც თურმე 7 თუ 8 წლის მერე ამოიცნო არცთუ სახარბიელო ხილვადობის დროს დანახული მკვლელი, მაგრამ ეს ჩვენებაც უპრობლემოდ გაიზიარეს.

სიმართლე გითხრათ, მე **მიხეილ ქურდაძის** მკვლელობას გახსნილად ვერ მივიჩნევ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო. გარდა ამისა, თუ ამბობ, რომ მკვლელმა ფული აიღო, ანუ შეკვეთილი მკვლელობა იყო, ხომ უნდა გაგერკვია ვინ იყო დამკვეთი? მე სასჯელიც არ მიმაჩნია რეალურად, თბილისის მთავარი პროკურორის მკვლელისთვის 9 თუ 10 წლის მისჯა, ნონსენსია. ეჭვი მაქვს, რომ ამ ე.წ. მკვლელმა უბრალოდ თავის თავზე აიღო მკვლელოვა, რაშიც ალბათ მართლაც გადაუხადეს ფული. მაშინ ხმები დადიოდა, რომ ამ მკვლელობის ერთ-ერთი დამკვეთი შსს-ს მაშინდელი მაღალჩინოსანი იყო. სხვა პირებზეც იყო ეჭვი მაგრამ მათი ვინაობა დაზუსტებით არ გამიგია. ვფიქრობ, მიხეილ ქურდაძის მკვლელობა, რომელიც ძალზე პატიოსანი პროფესიონალი იყო, ერთ ფაქტსაც უკავშირდება. იმ პერიოდში შსს-ს სიგარეტების დიდი პარტია და რამდენიმე პირი ჰყავდა დაკავებული, მე მგონია, რომ იმ ტვირთში ნარკოტიკებიც იყო. ორი სატვირთო ავტომანქანა, ე.წ. ფურა ვინც გააჩერებინა, იმ პიროვნების ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. ამდენი წლის შემდეგ, ძნელია ამ საქმეზე დაზუსტებით საუბარი, უბრალოდ ჩემს ეჭვებსა და ვარაუდს გამოვთქვამ. ქურდაძის მკვლელობას ამ საქმეს იმიტომ ვუკავშირებ, რომ, როგორც კი ის მოკლეს, თურქეთიდან მომავალი ეს სატვირთოები მაშინვე უკვალოდ გაქრა. ადრინდელ ინტერვიუებში უკვე გესაუბრეთ, რომ თურქეთში ფუნქციონირებდა „ოპიუმის“ გასაწმენდი, ანუ „ჰეროინის“ დამამზადებელი ლაბორატორიები, რომელთა მფლობელებიც ჩვენი ინფორმაციით, თურქეთში მცხოვრები ორი ირანელი **რეიჰანი** და **პურჯალი** იყვნენ. ისინი „ჰეროინს“ სამხრეთ კავკასიის გავლით, რუსეთში უშვებდნენ. დარწმუნებული ვარ, ეს ლაბორატორიები დღესაც მოქმედებს, რომლებიც მარტო ავღანეთიდან და სხვა აზიური ქვეყნებიდან შეტანილ ოპიუმს კი არა, ადგილზე მოყვანილ ოპიუმის ყაყაჩოსაც ამუშავებენ, რომელიც საქართველოს ყოფილ ტერიტორიებზე სთესავენ.

გაუხსნელად ითვლება ედპ-ის ლიდერის **გიორგი ჭანტურიას** მკვლელობაც. მე თვითონ ვარ ნასაუბრები იმ პიროვნებასთან, რომელმაც ჭანტურიას მკვლელობა აღიარა, მაგრამ საქმე მაინც არ „გაიხსნა“. ეს პიროვნება ბორჯომელი იყო, ბორჯომის „მხედრიონის“ წევრი. კაცმა აღიარებითი ჩვენება მისცა, მაგრამ შემდგომ ყველაფერი გაქრა და მკვლელობა გაუხსნელად ჩაითვალა. ეს პიროვნება დაიჭირეს, მაგრამ სულ სხვა რაღაცის გამო გაასამართლეს, მცირე სასჯელი მიუსაჯეს და მალევე გათავისუფლდა. ბრალდების „ლოიალურობას“ ჩემი აზრით, ერთი ახსნა აქვს, გამოძიების ამ ბრალით გაგრძელების შემთხვევაში დამკვეთების ვინაობაც გამჟღავნდებოდა, რაც ალბათ არ აწყობდათ მაღალ ეშელონებს.

სოლიკო ხაბეიშვილი

სხვათა შორის, **სოლიკო ხაბეიშვილის** მკვლელიც ბორჯომის დაჯგუფების წევრი იყო. ამ შემთხვევაშიც იყო აღიარება, მაგრამ ეს საქმეც გაუხსნელია.

ეროვნულ მოძრაობას ბევრი მიეტმასნა, პროვოკატორები სპეციალურად იყვნენ „ჩანერგილები“, დააკვირდით, ვინც მართლა ეროვნული ნიშნის მატარებელი, ნამდვილად დისიდენტი იყო, დღეს არცერთი აღარ არის ცოცხალი, მათ პატრიოტობა არ აპატიეს.

- ბატონო დავით, მაშინ იმასაც ამბობდნენ, შევარდნაძე გიორგი ჭანტურიას თავის მემკვიდრედ ამზადებსო, თუმცა მერე ისიც ითქვა, ჭანტურიას მკვლელობაში „ბაბუს“ ხელი ურევიაო.

- შევარდნაძეს არასდროს არავისთან არ უთქვამს და არც იტყოდა, ესა თუ ის პიროვნება მოკალითო. ის ვითომ განზე იდგა, მაგრამ ყველაფრის საქმის კურსში იყო და მეტნაკლებად აკონტროლებდა. შევარდნაძე არც დიდი პროფესიონალი ყოფილა, უბრალოდ, ეშმაკი ადამიანი იყო და ამით გადიოდა ფონს. იკითხავთ, მაშინ საიდან ჰქონდა ამდენი ინფორმაციაო, ეს თუნდაც უცხოურ სპეცსამსახურებთან ურთიერთობის შედეგი იყო. მე ადრე გესაუბრეთ ოლდრიჯ ეიმსზე, რომელიც ამერიკული სპეცსამსახურების მაღალჩინოსანი იყო, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გაურკვეველ ვითარებაში მოკლული ფრედ ვუდროფის შეფი. როგორც გითხარით, არც ეს მკვლელობა გახსნილა, თუმცა მსჯავრდებული ამ შემთხვევაშიც გვყავდა, სრულიად შემთხვევითი პიროვნება, რომლის უდანაშაულობაშიც ეჭვი არ მეპარება. მოკლედ, ამ ეიმსს შევარდნაძესთან რამდენიმე საათიანი პირისპირ საუბარი ჰქონდა და ამ „დიდმა“ პოლიტიკოსმა ყველაფერი „გადმოულაგა“ მეგობარი ქვეყნის წარმომადგენელს. ამის შემდეგ ჩვენსა და რუსეთს შორის, მკვეთრად გაუარესდა ურთიერთობა. მათი პირისპირ საუბრიდან სადღაც წელიწადნახევარში ეიმსი ამერიკელებმა დაიჭირეს, რუსეთის აგენტობაში დასდეს ბრალი და მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ახლაც ციხეში ზის. ასე რომ, რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას მარტო სააკაშვილს ნუ დავაბრალებთ, ამაში შევარდნაძესაც მიუძღვის დიდი წვლილი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

ვახში ჟვანია:

ქვეყანა პროგრესისკენ მიდის მაშინ, როცა ხელისუფლებაში ჭკვიანი ადამიანები მოდიან, რომლებსაც შეუძლიათ შეაჩერონ აქტიური ბრიყვები

გვესაუბრება ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკოს-კიბერნეტიკოსი, ბატონი **ვახში ჟვანია**.

— ბატონო ვახში, მოუყევით თქვენს შესახებ ჩვენს მკითხველებს.

— წარმოშობით ზუგდიდიდან ვარ. ბაბუაჩემი **კაკა ჟვანია** იყო, ის კაკა ჟვანია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა მეგრულად.

ბაბუაჩემი 16 წლის განმავლობაში ზუგდიდში სკოლის დირექტორი გახლდათ. სხვათა შორის, იმ სკოლას **კაკა ჟვანიას** სკოლას ეძახდნენ. კაკა ჟვანიას სკოლაში აღიზარდნენ: **ნიკოლოზ ანთელავა**, ცნობილი კარდიოლოგი, **ეგნატე ფიფია**, **კოტე გრიგოლია**, ცნობილი ისტორიკოსი, **კოტე სურგულაძე** და მრავალი სხვა წარჩინებული ადამიანი.

კაკა ჟვანია

1915 წელს ბაბუაჩემი არმიაში გაიწვიეს და ავსტრო-უნგრეთის ფრონტზე გაამწესეს, ამ ომში მას უმაღლესი რანგის ჯილდოებიც ჰქონდა მიღებული. ის წმინდა გიორგის ჯვრის სრული კავალერი იყო. თურმე, მერე, როცა ტყვედ ჩავარდა, იმპერატორი ნიკოლოზის დედამ, ქალბატონმა ანა დედოფალმა იგი რამდენიმე ათეულ ავსტრიელ ოფიცერზე გაცვალა.

ომიდან ჩამოსული ბაბუაჩემი **ნოე ჟორდანიამ** აფხაზეთის სასაზღვრო ჯარების უფროსად დანიშნა.

ცნობილია ბრძოლის ისტორია, თუ როგორ განადგურა მოწინააღმდეგის 1000-კაციანი არმია ბაბუაჩემმა თავისი 80-კაციანი სასაზღვრო „ჯარით“ 1921 წელს.

მან ძალიან კარგად იცოდა რუსული და დასავლეთ ევროპული ლიტერატურა.

ზამთრის გრძელ ღამეებში, ბუხრის პირას უამრავი საინტერესო ისტორია აქვს მოყოლილი, რომელთა წიგნად შეკვრასაც, იმედი მაქვს, ოდესმე მოვახერხებ.

ბაბუაჩემის გარდაცვალებიდან 40-ზე მეტი წელი გავიდა, მაგრამ ზუგდიდში დღემდე ახსოვთ მისი სახელი, მისი ავტორიტეტი, გამონათქვამები. დიდებული ქართველი, მამულიშვილი იყო. თვალწინ მიდგას — სულ ჩოხა-ახალუხით დადიოდა.

— როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნა?

— ის დარწმუნებული იყო, რომ თუ არ ვუშველიდით, მეგრული ენა მოკვდებოდა. არადა, მიაჩნდა, რომ მეგრული ენა ქართულისთვის ისეთი იყო, როგორც დედის რძე ჩვილისთვის.

ჩვენი ისტორიის დავიწყება, კოლხეთის, ეგრისის სამეფოების ენის უგულებელყოფა სიბრიყვის და სირეგვნის გამოხატულებაა და ყოველივე ეს კარგს არაფერს მოგვიტანსო, ამბობდა.

სიბრიყვეზე გამახსენდა, რამდენიმე ხნის წინ იტალიელმა ისტორიკოსმა კარლო ჩეპოლამ სიბრიყვის ბუნება შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ არსებობს სიბრიყვის 4 ტიპი — უბრალოები, ჭკვიანები, ყაჩაღები და საკუთრივ ბრიყვები. ჩეპოლას მიაჩნია, რომ ბრიყვი ყაჩაღზე საშიშია — როდესაც ბრიყვები სცენაზე გამოდიან, მათ მოაქვთ ზიანი სარგებლის მიღების გარეშე. ყველაფერი კარგი ნადგურდება და საზოგადოება ღარიბდებაო, — წერს მეცნიერი.

ისტორიულად, ქვეყანა პროგრესისკენ მიდის მაშინ, როცა ხელისუფლებაში ჭკვიანი ხალხი მოდის, რომლებსაც შეუძლიათ შეაჩერონ აქტიური ბრიყვები და არ მისცენ მათ ქვეყნის განადგურების საშუალება.

წლების წინ ყაზახეთში ატომური მრეწველობის სამინისტროში ვმუშაობდი. ღმერთის ნება იყო, ალბათ, თბილისის უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნით და საქართველოში მუშაობის გამოცდილებით დავწერე ნაშრომი, რომლითაც დავნერგე შრომის ისეთი სისტემა, რომ კომბინატს 35% წარმადობის მატება შევძინე და საწარმოს 4 მლნ-ის მოგება მოვუტანე.

სისტემა, რომელიც მე შევიმუშავე, დღემდე მოქმედებს ყველა იმ ფაბრიკასა და ქარხანაში, რომლებიც ატომური მრეწველობის სამინისტროს ემსახურება ყაზახეთში.

უკრაინაში, ყაზახეთში, რუსეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში ცნობილი მეცნიერი გავხდი.

ამ პერიოდში თბილისში იზოტოპების ინსტიტუტის დამაარსებელი და ამ ინსტიტუტის დირექტორი ბატონი **ირაკლი გვერდწითელი** მოღვაწეობდა, როდესაც მე თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლა გადავწყვიტე, გვერდით დამიდგა, სამსახურშიც მომაწყო და თბილისში ჩემი ჩაწერაც უზრუნველყო. ირაკლი გვერდწითელი ამ ამბიდან 5 წლის შემდეგ გავიცანი. ამას იმიტომ ვყვები, რომ ყველა დროში იყვნენ და ახლაც არიან ჩვენს საზოგადოებაში ადამიანები, რომლებსაც თანამემამულის წარმატებები შურს არ გვრის, პირიქით, სურთ საქართველოში იღვაწონ ერთად და ააყვავონ ქვეყანა.

თუ ჩვენ გვინდა მართვის კარგი სისტემა შევქმნათ, კადრების შერჩევა უნდა ვისწავლოთ.

— დღეს არ არიან შესაფერისი კადრები თანამდებობებზე?

— არა. არ არიან და მე მათ, პირველ რიგში, კომპეტენციას ვუწუნებ.

ერთ მაგალითს მოვიტან. ჩვენი ქვეყანა 4 000 ტონა ჩაის მოიხმარს. **ფრიდონ თოდუა**, ჩვენი სასიქადულო თანამემამულე, კარგა ხანს ცდილობდა ჩაის პოპულარიზაცია მოეხდინა ქვეყანაში. ახლა ზოგიერთი ამბობს: კომუნისტებმა ქართველი ქალები ჩაის მკრეფავ მონებად გამოიყენაო. თქვენ იცით, რა არის მონა? მონა არის უუფლებო ადამიანი, რომელსაც ამუშავებენ და არ უხდიან გასამრჯელოს. ჩასვრილი და გაუბედურებული ბერძენი, ან ამერიკელი მოხუცების მოვლა ინტელექტუალური შრომის ტოლფასია და სუფთა ჰაერზე, შენს სამშობლოში ჩაის კრეფა მონობაა?!

მართვის დარგის სპეციალისტი გახლავართ და თამამად შემიძლია გითხრათ, მართვა უნდა იყოს ოპტიმალური, მეტი მოგების მიღებისთვის. დღესდღეობით მართვის სისტემის ყველა კრიტერიუმი დარღვეულია და ლოგიკურიცაა, სასურველ შედეგამდე რომ ვერ მივდივართ.

— ბატონო ვახში, თქვენ ადრინდელი მართვის სისტემის წარმომადგენელი ხართ, სააკაშვილმა თქვა, რომ ულვაშებიანი და კარკატიანი ქუდებით მოსიარულე კომიკური შეფერილობის ქვეყანა იყო საქართველოო, ამ შეფასებაზე რას იტყვით?

— სისულელეა ეს და ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. რეფორმა არ ნიშნავს ყველაფრის ერთბაშად და ხელაღებით ნგრევას. შეუძლებელია წარსულში ყველაფერი ნეგატიური იყოს. მაგალითად, თქვენმა რედაქტორმა სამსახურის რეფორმირება რომ მოინდომოს, თანამშრომლების 60% გაყაროს და ახლები მოიყვანოს, გარდამავალ პერიოდში, სასიკეთოს ვერაფერს გააკეთებს.

ასე ვანგრევთ ძველ სისტემებს აგერ უკვე 30 წელიწადია და კიდევაც გვაქვს სახეზე შედეგი.

როდესაც გაჩანაგებული ეკონომიკა დახვდა გერმანიაში კონრად ადენაუერს, მან განაცხადა: არაფერი არ შემოვიტანოთ სხვა ქვეყნებიდან, ყველაფერი, ყველა წვრილმანი, რაც ქვეყანას დასჭირდება, ვაწარმოოთ ჩვენს ქვეყანაშიო.

კონრად ადენაუერმა და ლუდვიგ ერჰარდმა, იმ ხანებში ქვეყნის ბიუჯეტი „გაყინეს“, რითაც თავიდან აიცილეს კორუფცია და ბიუჯეტის თანხების დატაცება. ანუ ბიუჯეტში წლების განმავლობაში არ შედიოდა იმაზე მეტი თანხა, რაც იყო თვითონ ბიუჯეტი, მოგება კი რჩებოდა მწარმოებლებსა და მათ საწარმოებს, რის შედეგადაც რამდენიმე წლის შემდეგ ათჯერ და მეტად გაიზარდა გერმანიის ბიუჯეტი.

საქართველო უდიდესი პოტენციალის მქონე ქვეყანაა, უბრალოდ, საჭიროა, დროზე გამოჩნდნენ ქართველი ადენაუერები და ერჰარდები, რომლებიც ამ ხელოვნურად გაკოტრებულ ქვეყანას ფეხზე დააყენებენ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები

გორის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა იგეგმება

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და პოლონეთის რეს-პუბლიკის რაჩეხოვიცეს მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტს ინჟინერთა ჯგუფი სტუმრობს.

პოლონელმა ინჟინრებმა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებსა და დეპუტატებს გორის მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობების რეგულირების პირველადი კონცეფცია გააცნეს. კონცეფცია გამგეობის თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა. ინჟინრებმა ადგილზე დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის ტერიტორია და გაეცნენ მის თავისებურებას.

შეხვედრაზე პოლონელმა სპეციალისტებმა წარმოადგინეს საკანალიზაციო სისტემის სამი სავარაუდო ვერსია. ინვესტიცია განისაზღვრა დაახლოებით 112 მლნ. ლარით, სადაც ადგილობრივი თანადაფინანსება 0,03 პროცენტია, საინვესტიციო პერიოდი კი — 2017-2020 წლები.

დმანისის გამგებელი სტუდენტებს შეხვდა

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგი ბარბაქაძე პროექტის — „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ — მონაწილე სტუდენტებს შეხვდა. სტუდენტებმა გამგებელს გააცნეს პროექტის მიზნები და ამოცანები. გოგი ბარბაქაძემ მადლობა გადაუხადა სტუდენტებს აქტიურობისთვის და პროექტის ფარგლებში თანამშრომლობას დაჰპირდა.

გამგებელთან შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდებმა გადაინაცვლეს გამგეობის საკონფერენციო დარბაზში, სადაც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან ერთად გაიმართა დისკუსია. მხარეებმა კვლევების შედეგების, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

შეხვედრები სოფელ ირგანჩაიში

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგეობის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები სოფელ ირგანჩაიში იმყოფებოდნენ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგი ბარბაქაძე ესტუმრა საჯარო სკოლას, შეხვდა მოსწავლეებს და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს. პედაგოგებმა გოგი ბარბაქაძეს გააცნეს განათლების სფეროში არსებული სიახლეები. საუბარი სამომავლოდ ერთობლივად განსახორციელებელ პროექტებსაც შეეხო. გამგებელმა სკოლის მოსწავლეებს საჩუქრად გადასცა ქართული და აზერბაიჯანული წიგნები. პედაგოგიურ კოლექტივს დამატებით კლასგარეშე ლიტერატურის შეძენასაც დაჰპირდა.

გოგი ბარბაქაძე მოადგილესთან ერთად დაესწრო ქართული ენის გაკვეთილს სადაც აზერბაიჯანელი ბავშვები ქართულ ენას ეუფლებიან პროექტის ფარგლებში „ასწავლე საქართველოსთვის“.

სოციალური აქციის ფარგლებში კი, სოფელ ირგანჩაიში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს ზარნიშან გასიმოვას გადასაადგილებლად დამხმარე ეტლი და საკვები პროდუქტები გადასცეს.

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული ეტლების უზრუნველყოფას ახდენს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, პროექტი გრძელდება და მის ფარგლებში უახლოეს მომავალში აღნიშნულ სოფელში კიდევ ორი ბენეფიციარის განაცხადი დაკმაყოფილდება.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ამავე დღეს მოინახულეს სოფელ ირგანჩაის ამბულატორიის თანამშრომლები და ჩვილი ბავშვებისთვის განკუთვნილი საჩუქრები გადასცეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობა გრძელდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საბავშვო ბაღში, აღსაზრდელთა მზარდი კონტინგენტის გამო, კიდევ ერთი, სამწლიანთა ჯგუფი გაიხსნა. დამატებითი ჯგუფი ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ, ბაღების გაერთიანების დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა გელა კოპაძემ გახსნეს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატარებს საჩუქრად გადასცეს სათამაშოები და ახალ გარემოში სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს. ხევის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ამჟამად 42 აღსაზრდელია. სარემონტო სამუშაოები ბაღში ახალი ჯგუფისთვის 2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა, მიმდინარე წელს კი ინვენტარი და სხვა საჭირო ნივთები ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეიძინეს. შენობა თანამედროვე სტანდარტების გათვალიწინებით მოეწყო და აღიჭურვა.

ახალი ჯგუფის გახსნა პედაგოგებსა და აღსაზრდელებს მიულოცა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ. მისი თქმით, არც ერთი მოზარდი არ უნდა დარჩეს საბავშვო ბაღის მიღმა და ამისთვის ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაფერს გააკეთებს.

„მისასალმებელია, რომ ეს

დუშეთი

ულამაზესი სოფელი ბავშვთა კონტინგენტის სიმრავლით გამოირჩევა და ბაღში ახალი ჯგუფი აქედან გამომდინარე დაემატა. ჩვენ არ ვჩერდებით, ვაგრძელებთ მშენებლობას და ხარაგაულს კიდევ ბევრ ახალ ბაღს ვაჩუქებთ“, — აღნიშნა გამგებელმა.

ბოლო წლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რვა ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. უახლოეს მომავალში სკოლამდელი დაწესებულება ღორეშასა და წიფაში გაიხსნება. დაგეგმილია ასევე ახალი ბაღების აშენება ნადაბურსა და საღანძილეში.

დუშეთის გამგებლის ვიზიტი სტრასბურგში

2017 წლის 1-3 მარტს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, თანაშემწე თინათინ ცოცხალაშვილთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე „ინსტიტუციონალური ჩარჩოების გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის“, რომელიც საქართველოსთვის 2015-2017 წლების აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის სამოქმედო გეგმის ნაწილია და რომელსაც ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, დუშეთის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „ადგილობრივი ინიციატივები ეთიკური და გამჭვირვალე მმართველობისთვის“, ხოლო დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი პროექტის — „გახდი გადაწყვეტილების მიმღები პირი ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში“ — პრეზენტაციის შემდეგ, ევროპის საბჭოს სათავო ოფისში საზეიმო ვითარებაში ხელი მოეწერა ზემოაღნიშნული საპროექტო წინადადების ფარგლებში შეთანხმებას გრანტის მიღების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან საგრანტო წინადადებების ფარგლებში დაფინანსდნენ დუშეთის, თიანეთისა და კასპის მუნიციპალიტეტები.

სტრასბურგში ევროპის საბჭოსა და საქართველოს სამ მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ევროპის კავშირი ევროპის საბჭოს მეშვეობით, ზემოხსენებულ სამ მუნიციპალი-

დმანისი

ძლიერი საქართველოსთვის

ლმანისი

ტეტში კარგი მმართველობის წახალისებაზე ორიენტირებულ პროექტებს დააფინანსებს. მუნიციპალიტეტებში კონკრეტული პროექტების განხორციელება 2017 წლის მარტიდან დაიწყება.

ეს პროექტები აღმოსავლეთ პარტიორობის ქვეყნებისთვის ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და მისი მიზანი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებაა.

დასუფთავების მასშტაბური აქცია გურჯაანის მუნიციპალიტეტში

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ცენტრალური მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია ჩატარდა, რომელშიც მოხალისეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის გამგეობის და ა(ა)იპ-ების საჯარო მოხელეებმა და თანამშრომლებმა. შეგროვდა პოლიეთილენისა და ბიოლოგიურად მდგრადი ნივთიერებებისგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლის დაშლის პროცესიც რამდენიმე ასეული წელი გრძელდება.

მსგავსი აქციები უკვე რამდენჯერმე ჩატარდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა მოგიწოდებთ დაიცვათ სისუფთავე და გაუფთხილდეთ გარემოს!

ხურჩაში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია დასრულდა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ხურჩის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია დასრულდა. ბიბლიოთეკა ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. რეაბილიტაციის ფარგლებში გადაიხურა შენობა, შეიღება ფასადი და გამოიცვალა ფანჯრები. პროექტის ღირებულებამ 22 970 (ოცდაორი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარი შეადგინა.

ჯუმის საბავშვო ბაღს რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. კეთილმოეწყო სამზარეულო და გამოიცვალა კარ-ფანჯრები. სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 8767 (რვა ათას შვიდას სამოცდაშვიდი) ლარით დაფინანსდა.

ურთაში ახალი ხიდის მშენებლობა დასრულდა

ურთაში, ლეპეტერეს უბანში ახალი საავტომობილო ხიდი

ზუგდიდი

მოეწყო. აღნიშნულ უბანში ადრე ხის ხიდი იყო, რის გამოც მასზე ტრანსპორტი ვერ გადაადგილდებოდა, ახალი ხიდის მოწყობით კი ეს პრობლემა მოგვარდა. საავტომობილო ხიდის მოწყობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 21 949 (ოცდაერთი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა ლარი) შეადგინა.

სენაკის სკოლა-გიმნაზიის ოსწავლეები NASA-ში გაემგზავრებიან

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე, გამგებლის მოადგილე ნატო ფულარია და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში გამარჯვებულ წმ. ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა გუნდის „სმართ ქიდსის“ წევრებს, სკოლა-გიმნაზიის დირექტორს ნინო ჯანჯღავასა და გუნდის მენტორს უტა კილასონიას შეხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ 27 თებერვალს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში, რომელშიც 88 სკოლა მონაწილეობდა, ცამეტ ფინალისტ გუნდს შორის, პროექტით — „გეოლოგიური საფრთხეები“ — გამარჯვებულად სენაკელი მოსწავლეების გუნდი გამოარჩია. გამარჯვებული გუნდის წევრები სკოლა-გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლეები: ნათია შამათავა, დეა ჩიტაია, ალექსი ტყეებუჩავა, ლალი კოკაია და გვანცა ჩიქოვანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰიუსტონში გაემგზავრება და NASA-ს კოსმოსურ ცენტრში უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამას გაივლის. ისინი ამ პროგრამაში მონაწილე პირველი ქართველები არიან.

შეხვედრაზე ისაუბრეს მეწყერის პროგნოზირებადი ხელსაწყოს შექმნის ისტორიასა და სპეციფიკაზე, რომელიც წარმოადგენს შეტყობინების სისტემას მეწყერსაშიში ზონებისთვის. მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად გამოყენებულია ჰოლის ეფექტზე დამყარებული მეთოდი. შედეგად, მიღებულია მაღალი მგრძნობელობა, სიზუსტე და საიმედოობა. ასეთი სისტემის აწყობა, წარმოება და დანერგვა საქართველოში მარტივად შესაძლებელია, რაც ხარჯეფექტიანია სახელმწიფოსთვის და რაც მთავარია, აპარატის ანალოგი არ არსებობს. სენაკელი მოსწავლეების მიერ შექმნილმა სენსორულმა აპარატმა უკვე დიდი დაინტერესება გამოიწვია მეცნიერთა შორის. მისი უსასყიდლოდ გადაცემა და დანერგვა უკვე განსაზღვრულია ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე.

შეხვედრაზე გაირკვა, რომ მოსწავლეები უკვე ახალ იდეებსა და პროექტებზე აგრძელებენ ფიქრსა და მუშაობას. მუნიციპალიტეტის გამგებელმა მიულოცა მათ ეს დიდი წარმატება და ყოველმხრივ მხარდაჭერასა და თანადგომას დაჰპირდა.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მიზანია ახალგაზრდებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისება. კონკურსი 2015 წლიდან ხორციელდება და ჯამში 240 გუნდს აქვს მონაწილეობა მიღებული საქართველოს მასშტაბით. კონკურსს ახორციელებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

გურჯაანი

შუახევი – ხიჭაურში ბაგა-ბაღი შენდება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მუნიციპალიტეტის გამგებელ ტარიელ ებრალიძესთან და გამგებლის პირველ მოადგილე ავთანდილ დიასამიძესთან ერთად ხიჭაურის დასახლებაში ბაგა-ბაღზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

რუსთავი

რუსთავის ქიმიკოსთა სპორტულ კომპლექსში კალათბურთში დამსახურებული მწვრთნელის ოთარ ხმელიძის სახელობის ტურნირი დაიწყო. ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს 2005-2006 წლებში დაბადებული სპოტსმენებით დაკომპექტებული საქართველოს 8 ყველაზე ძლიერი გუნდი. მათ შორის არის რუსთავის ორი გუნდი. ოთარ ხმელიძის სახელობის ტურნირი ტრადიციულია და რუსთავი მას მეექვსედ მასპინძლობს. ჩემპიონატი 4 დღის განმავლობაში გაიმართება, ფინალური თამაშები 9 მარტს დასრულდება. გამარჯვებულ გუნდს ტურნირის სახელობის თასი გადაეცემა.

შავი მზე, შავი ვარსკვლავები და შავი არისტოკრატია

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N7 2017)

ვენეციელები მათი საქმიანი სტილით დასავლური ცივილიზაციის განვითარების „ტროფეული“ ხაზის ფუძემდებლად გვევლინებიან, ისინი ხვეწენ სხვისი ხელებით კონკურენტების ჩამოშორების ტექნიკას, ერთმანეთზე აქეზებენ მოწინააღმდეგეებს და მათ შიგნიდან ხლეჩენ. მოტყუება, ინტრიგები და შპიონაჟი ვენეციელთა უმთავრესი ხერხი იყო. აღორძინების პერიოდის ევროპაში „ვენეციელი“ მამაცი, მდიდარი და ეშმაკივით მზაკვარი ადამიანის სინონიმი გახლდათ, ოღონდ ეს ეშმაკივით ჭკვიანი ადამიანი ვერ არჩევდა ბოროტ და კეთილ საშუალებებს, უარყოფდა მორალს და ასე შემდეგ, წარმატებისთვის ისინი იყენებდნენ საწამლავსაც და დაქირავებული მკვლელების სამსახურსაც, შეთქმულებებსაც და მოსყიდვებსაც. ბიზანტიის დამხობის შემდეგ ვენეცია აქტიურად ებმება მონებით ვაჭრობის ბიზნესში და თურქებთან ერთად მონებით ვაჭრობის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი ხდება. მაგრამ მსოფლიოს უმთავრესი სავაჭრო გზები ნელ-ნელა გადის ხმელთაშუა ზღვიდან და ვენეციაც კარგავს თავის მნიშვნელობას. დგება ბობოქარი და სისხლიანი მეთექვსმეტე საუკუნე... ვენეციას ძლიერ უჭირს. მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს იტალიის მიწაწყალზე იწყება ომი კათოლიკეებს შორის. ერთმანეთს უპირისპირდებიან ფრანგები და ესპანელები. სწორედ რომში იმყოფებოდა იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი და რომის პაპის რეზიდენცია. პაპები მაშინ რთულ და დახვეულ თამაშს თამაშობდნენ. მათ არ სურდათ იტალიას უცხოელები დაპატრონებოდნენ, თუნდაც ესპანელები ან ფრანგები. პაპებს იმთავითვე სურდათ მეფეებზე მბრძანებლობა. ლავირებდნენ ახალ ძალებს შორის, მაგრამ მათ ჰყავდათ უძველესი დაუძინებელი მტერი -ვენეცია. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში პაპმა, ესპანელებმა და ფრანგებმა გადაწყვიტეს ერთობლივი ძალებით დაენგრიათ ვენეცია, რისთვისაც „კამბრეის“ ლიგა შეაკოწიწეს. მაგრამ ლიგა მალე დაიშალა. პაპმა არ ისურვა უცხოელთა ზეიმი იტალიაში და ეს საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა. მზაკვარმა ვენეციამ საპასუხო დარტყმა განახორციელა. მან დაიწო უხილავი ბრძოლა „კულტურული აგრესიის“ მეთოდით და რევიზიას დაუქვემდებარა ქრისტეანობის ყველა ფუძემდებლური კონცეფცია. პაპის ძალაუფლებისა და დიდი კათოლიკური ქვეყნების ძლიერების შესარყევად, მას პირველს გადააქვს ომი იდეების სფეროში, და ეს ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ და გამანადგურებელ ტრაგედიად შემოუბრუნდება კაცობრიობას მთელი მისი ისტორიის განმავლობაში... კონფლიქტის მარცვალი მეთექვსმეტე საუკუნეში იქნა ჩაყრილი, მანამდე, ორი საუკუნით ადრე პაპი პიუს მეორე და სახელგანთქმული ღვთისმეტყველი ნიკოლა კუზანელი აყენებენ ადამიანის, როგორც ღმრთის ხატისა და მსგავსის იდეა კონცეფციას, რომელსაც გააჩნია ღვთიური უნარები, ეს იდეები სულაც არ ეთანხმებოდა მონათმფლობელურ ბიზნესს და „ტროფეიზმის“ იდეოლოგიას, რადგან, შეუძლებელია ვაჭრობდე ადამიანებით და ამავე დროს აღიარებდე, რომ ისინი არიან ღმრთის ხატებანი და მსგავსებანი! უმდიდრესი ვენეციური მოდგმიდან გამოსული, პადუის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გასპარო კონტარინი ადამიანს მატლს ადარებდა, მისი აზრით ადამიანი ღმრთის ხატი კი არა მხეცია და სინანული სულაც არ არის მისთვის აუცილებელი, მთავარია-საკუთარი სურვილები. კონტარინი საკმაოდ გავლენიან ვენეციურ საზოგადოებაში გახდა „სპირიტუალთა“ და ვენეციის შავი არისტოკრატიის ორდენის დამფუძნებელი, ის იყო ელჩი ჯერ რომის პაპის სასახლეში, შემდეგ კი კარლ მეხუთეს რომის იმპერიის კარზე, რომლის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენე ესპანეთი, ავსტრია, გერმანია და ჰოლანდია, ასევე იტალიის ჩრდილოეთი და სამხრეთ ამერიკის ახალი კოლონიები. შემდეგ ის ხდება ვენეციის ძალაუფლების უზენაესი ორგანოს, – სამთა საბჭოს წევრი და ბოლოს მან მიიღო კარდინალის ტიტული. სწორედ პაპთან და ახალ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებთან მებრძოლმა ვენეციამ დაუჭირა მხარი მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში კათოლიკური ეკლესიის განხეთქილებას და ხელი შეუწყო პროტესტანტიზმის გამოჩენას. რეფორმაციამ გამოიწვია ის, რომ ევროპა თითქმის ორი საუკუნე იცლებოდა სისხლისგან, ვენეციამ მიზანს მიაღწია, დასავლელი ხალხები რომლებიც გაყოფილი აღმოჩნდნენ გააფრთებულები ხოცავდნენ ერთმანეთს რელიგიურ ნიადაგზე, ისევე როგორც მოგვიანებით „თეთრი“ და „წითელი“ რუსები (და არამარტო) დაერიენ ერთმანეთს და სამოქალაქო ომის ჯოჯოხეთი გააჩაღეს თავიანთ ქვეყნებში...რეფორმაციამ დაარღვია კათოლიკური ეკლესიის ქრისტეანული „მსოფლიო“, რომელიც მყარად იდგა შუასაუკუნეების განმავლობაში და გამოიწვია მთელი რიგი ეკლესიებისა და რელიგიური ჯგუფების აღმოცენება, რომლებიც, თავის მხრივ ერთმანეთსაც ებრძოდნენ. „დაჰყავი და იბატონე“ – აი „შავი არისტოკრატიის“ ძირითადი დევიზი, რომელიც დღემდე აქტუალურია სახელმწიფოთა დაპყრობის ტექნოლოგიებში. რეფორმაციამ შვა კონტრრეფორმაცია კათოლიკური ეკლესიისა და რომის იმპერიის მხრიდან. სწორედ მაშინ დაფუძნდა იეზუიტების ორდენი. ბობოქრობდა ინკვიზიცია, ევროპაში კოცონზე წვავენ ასობით ათას



ადამიანს. დამსმენებს ახალისებენ ჩამორთმეული ქონების გადაცემით. წახალისებულია მშობლების დასმენა შვილების მიერ. აღსანიშნავია, რომ ადამიანებს ცოცხლად წვავდნენ პროტესტანტებიც. ასობით ტონა ოქრო რომელიც ესპანელებმა ამერიკიდან მიითვისეს, კათოლიკეთა ომის მხარდაჭერას ხმარდება პროტესტანტების წინააღმდეგ... სწორედ ვენეციელები იყვნენ მათ შორის, ვინც მარჯვედ წარმართავდა რეფორმაციასაც და კონტრრეფორმაციასაც, ასევე კონფლიქტებს საკუთარი პოლიტიკის სასარგებლოდ. საქმეში მიდიოდა ოქროც და იდეებიც...კარდინალად და კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთ უმაღლეს იერარქად გახდომის შემდეგ, კონტარინიმ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონტრრეფორმაციაშიც. ის ხელმძღვანელობდა კარლ მეხუთის დელეგაციას პროტესტანტ-ლუთერანებთან მოლაპარაკებას რეგენსბურგში. მომდევნო მოვლენები მკაფიო დადასტურებაა იმისა, რა შეიძლება მიიღო თუ დროზე შეუგდებ საზოგადოებას ცეცხლის დამნთებ იდეებს. სისხლიანი და ბობოქარი საუკუნე ნახევრის შედეგად, დაინგრა და უკან გადავარდა გერმანია, შეირყა ესპანეთის ძლიერება. შეჩერდა საფრანგეთის განვითარებაც. მეთექვსმეტე საუკუნის ეკონომიკური განვითარების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა სამხრეთ- ევროპული ერებიდან (იტალიელები, ესპანელები, პორტუგალიელები) მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების და ეკონომიკური ენერგიის სიმძიმის ცენტრის გადატანა ჩრდილო დასავლელი ერებისკენ, ჯერ ბელგიელებზე და ჰოლანდიელებზე, შემდეგ კი ფრანგებზე, ინგლისელებზე და ხხედილო-გერმანელებზე. ღსებითი მოვლენა გახდა ჰოლანდიის სწრაფი გაფურჩქვნა, რომელმაც ინგლისსა და საფრანგეთს საწარმოო ძალთა ინტენსიური განვითარების მძლავრი ბიძგი მისცა. მთელი მეჩვიდმეტე საუკუნის განმავლობაში ევროპის ჩრდილო-დასავლური ერების ყველა თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის მიზანი ვაჭრობის, ნაოსნობის და კოლონიალური დაპყრობის სფეროში ჰოლანდიასთან კონკურენცია გახდა. მეთექვსმეტე საუკუნის ინგლისში -ყველაზე ბნელი პერიოდია. განსაკუთრებით ჰენრიხ მერვეს მმართველობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა რეფორმაციას და ალბიონი რომისკათოლიკურ ეკლესიას მოწყვიტა. აღნიშნულ პერიოდში დაიწყო ინგლისის წინაკაპიტალისტური განვითარება. მომგებიანი გახდა არა პურის თესვა, არამედ ცხვრების მოშენება და მატყლის ექსპორტი მეზობელ ჰოლანდიაში, სადაც მრავალი საფეიქრო მანუფაქტურა მუშაობდა. ლორდები მასობრივად დევნიდნენ გლეხებს მიწიდან, დაიპყრეს სათემო და საეკლესიო მიწები და გლეხები მაწანწალებად აქციეს. მათ უკმაყოფილებას დაქირავებული ჯარის მეშვეობით ახშობდნენ. ასევე გლეხების წინააღმდეგ სასტიკი კანონები მიიღეს. ყოველგვარი ქურდობისთვის ადამიანს სახრჩობელა ელოდა. სჯიდნენ 14 წლის ბავშვებსაც. ოფიციალური მონაცემებით, ჰენრიხ მერვეს დროს ქვეყნის სამმილიონიანი მოსახლეობიდან სულ ჩამოახრჩვეს 72 ათასი ადამიანი ინგლისელთა იმდროინდელი რაოდენობის ორნახევარი პროცენტი. ეს იყო ყველაზე მასობრივი რეპრესია, გენოციდი. სტალინის დროს საბჭოთა კავშირში მოსახლეობის რაოდენობა 190 მილიონს აღწევდა. სტალინურ რეპრესიებს იმ პერიოდში ადამიანების ერთი მეორმოცედი პროცენტი შეეწირა თუმცა გადარჩენის შანსი ბევრად მეტი ჰქონდათ ვიდრე ინგლისელებს რადგან პირდაპირ სახრჩობელაზე არ ასრულებდნენ სიცოცხლეს. ჰენრიხის შვილიშვილის, დედოფალ ელიზაბეტას დროს კანონი მაწანწალების წინააღმდეგ მთელი ძალით მოქმედებდა, ქვეყანაში დასჯილთა რაოდენობამ 90 ათას მიაღწია, თუმცა რამდენი დაიხოცა შიმშილით და სიცივით არც დაუთვლიათ.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ქალებზე და ქალებისთვის

იტალიის ერთ-ერთ მონასტერში ცხრა მონაზონი დაფეხმძიმდა

შარშან ზაფხულში მილანთან ახლოს მდებარე ერთ-ერთმა მონასტერმა კეთილი საქმე გააკეთა და აფრიკის კონტინენტიდან წამოსულ ხუთ ლტოლვილ მამაკაცს მისცა თავშესასფარი. მიგრანტებმა სული მოითქვეს, მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს და ევროპის ასათვისებლად გასწიეს. ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მონასტრის ცხრა „უბიწო“ ბინადარი ფეხმძიმედ იყო.

ეკლესიის ხელმძღვანელობამ ამ ამბის გამოკვლევა დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, მონასტრის წინამძღვარს რამდენჯერმე სავანეში არ გაუთევია ღამე, რადგან იძულებული იყო ავადმყოფი დედა მოენახულებინა.

მონაზვნები არ აღიარებენ დანაშაულს, მონასტრის წინამძღვარი კი მოითხოვს, რომ მათ მონასტერი დატოვონ.

ყველაფრით კმაყოფილები მხოლოდ აფრიკელი ლტოლვილები არიან. ჟურნალისტებთან საუბრისას მათ განაცხადეს, რომ მადლობლები არიან მონაზვნების

და მთელი იტალიისა ასეთი თბილი მიღების გამო და მეგობრებს ურჩევენ, აუცილებლად მოინახულონ ეს მონასტერი...

იაპონელი ქალები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა გააანალიზეს სიცოცხლის ხანგრძლივობის მსოფლიო სტატისტიკა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანები საშუალოდ 6 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ადრე.

მიღებული შედეგების თანახმად, 2012 წელს დაბადებული გოგონები 73 წელს იცოცხლებენ, ხოლო ბიჭები — 68 წელს.

მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ღარიბი ქვეყნის მცხოვრებლები. ყველაზე დიდხანს მსოფლიოში იაპონელი ქალები ცოცხლობენ (საშუალოდ 87 წლამდე), მათ მოჰყვებიან შვეიცარიელი და სიმგაპურელი ქალები (85,1 წელი), ლიდერთა ხუთეულს კი იტალია ასრულებს (85 წელი).

მამაკაცთა შორის ყველაზე დიდხანს ისლანდიელები (82,1 წელი), შვეიცარიელები (80,7 წელი) და ავსტრალიელები (80,5 წელი) ცოცხლობენ. ისრაელელი, სინგაპურელი, ახალზელანდიელი და იტალიელი მამაკაცები საშუალოდ 80,2 წელს ცოცხლობენ. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელი მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა თანამემამულე ქალებზე 7 წლით ნაკლებია.

განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში ეს შედეგი ათეული წლებით განსხვავდება. მაგალითად, ანგოლაში, კოტდივუარში, ლესოტოსა და მოზამბიკში, ასევე აფრიკის რიგ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცებისა და ქალებისთვის 55 წელი და ნაკლებია.

დიეტოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ვახშამზე უარის თქმა ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს

ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „პენინგტონ ბიომედიკალის“ დიეტოლოგებმა, რომლებიც საღამოს საათებში საკვების მიღების შეზღუდვის შესახებ ექსპერიმენტს ატარებდნენ, მოულოდნელი დასკვნა გააკეთეს.

გამოკვლევების მსვლელობისას გამოირკვა, რომ ვახსამზე უარის თქმა არა მარტო აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, არამედ შიმშილის გრძნობასაც კლავს, რაც ცხიმების დაწვას იწვევს.

ექსპერიმენტში რამდენიმე ათეული მოხალისე იღებდა მონაწილეობას. დიეტოლოგებმა დაადგინეს, რომ საკვების მიღება 8, 14 და 18 საათზე გამოკვლევის მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, უკეთ ეკონტროლებინათ შიმშილის გრძნობა, ვიდრე კვების სტანდარტული რეჟიმის დროს, რაც დილის 8 და საღამოს 20 საათზე საკვების მიღებას გულისხმობს. მეორე შემთხვევაში, როგორც გამოკვლევის ავტორმა აღნიშნა, მოხალისეებს ძილის წინ შიმშილის გრძნობის მკვეთრი მატება აღენიშნებოდათ.

საღამოს საათებში საკვების შეზღუდვის დამატებითი კვლევებით მეცნიერები ცდილობენ გამოარკვიონ, შესაძლებელი იქნება თუ არა ამ მეთოდის გამოყენება ჭარბი წონის პროფილაქტიკისა და მკურნალობის დროს.

უფრო ადრე კი დოკუზ ეილულის უნივერსიტეტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ გვიან ვახშამი ინფარქტის რისკს ზრდის.

დღეში ერთი ცალი კვერცხის ჭამა ინსულტის რისკს ამცირებს

გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს კვერცხის გადაჭარბებულ მიღებას ქოლესტერინის დონის აწევა და გულისა და სისხლძარღვების პრობლემების გამოწვევა შეუძლია. უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული პუბლიკაციები ამას უარყოფს.

2015 წელს გამოქვეყნდა ერთ-ერთი სერიოზული კვლევის შედეგები, რომლის დროსაც მკვლევარებმა ვერ აღმოჩაონეს კავშირი კვერცხის მოხმარებასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შორის. მეცნიერთა სხვა ჯგუფის წევრები კი ამტკიცებენ, რომ კვერცხის მიღება გულისა და სისხლძარღვებისთვის სასარგებლოა.

მკვლევართა ჯგუფმა, რომელსაც დომინიკ ალექსანდერი ხელმძღვანელობდა, შეისწავლა 1982-დან 2015 წლამდე გამოქვეყნებული სტატიები, რომლებშიც კვერცხის გამოყენებასა და ინსულტისა და გულის კორონარულ დაავადებებს შორის კავშირი იყო შესწავლილი. აღმოჩნდა, რომ დღეში ერთი კვერცხის მიღება ინსულტის რისკს 12%-ით ამცირებს.

ავტორები ჯერჯერობით ვერ ხსნიან, როგორ ამცირებს კვერცხის გამოყენება ინსულტის რისკს. ისინი ვარაუდობენ, რომ ეს კვერცხში შემავალი ანტიოქსიდანტების მოქმედებას უკავშირდება — ისინი ადამიანს ეხმარებიან ანთებასთან ბრძოლაში და ამცირებენ დამჟანგავი სტრესის დონეს.

მრგვალად მოხარშულ ერთ კვერცხში შედის 6 გრ ცილა, ანტიოქსიდანტები ლუტეინი და პეაკსატინი, ასევე A, D და E ვიტამინები. გარდა ამისა, კვერცხი ისევე, როგორც თევზი, შეიცავს

გაჯერებულ ცხიმის მჟავებს, რომლებიც ტვინის მუშაობისთვის ძალზე სასარგებლოა.

წნევის გამომწვევი უჩინარი მიზეზი

საიდუმლო როდია, რომ ადამიანებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში უძილობა აწუხებთ, უფრო სუსტი ჯანმრთელობა აქვთ — მათი იმუნიტეტი დასუსტებულია, უფრო ხშირად აწუხებთ დეპრესია და სხვა დაავადებები. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ ორი უძილოდ გატარებული ღამე ჯანმრთელობას არ ვნებს. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ეს სულაც არ არის მართალი.

ბონის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებული, ახალი გამოკვლევების შედეგები ადასტურებს, რომ ძილის თუნდაც ხანმოკლე დარღვევა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემებს იწვევს. მეცნიერებმა, რომლებსაც დენიელ კიუტინგი ხელმძღვანელობდა, ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც 19 მამაკაცი და ერთი ქალი იღებდა მონაწილეობას. ყველა მათგანს გულისა და სისხლძარღვების გამოკვლევა ჩაუტარდა მას შემდეგ, რაც მათ დღე-ღამეში მხოლოდ 3 საათი ეძინათ.

მეცნიერებმა ექსპერიმენტის მონაწილეებს ჩაუტარეს ასევე შარდისა და სისხლის ანალიზი, გაუზომეს წნევა და გულის კუნთის შეკუმშვის სიხშირე. მათ აუკრძალეს თეობრომინის შემცველი სასმელებისა და საკვების მიღება, როგორიცაა შოკოლადი, თხილი, კაკალი ან ჩაი. ექსპერიმენტის ავტორებმა გამოიკვლიეს, რომ თუნდაც ერთ უძილო ღამეს შეუძლია არტერიული წნევის მატება და გულის შეკუმშვის რაოდენობის ზრდა. გარდა ამისა, მონაწილეთა სისხლში იმატა სტრესის ჰორმონების რაოდენობამ.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ გულისთვის ძალიან საზიანოა წონაში მკვეთრად მატება და დაკლება.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

რელიგიის მოწინააღმდეგეთა, კერძოდ, მკვდრეთით აღდგომის უარმყოფელთა საფუძველთ საფუძველი არის, როგორც ისინი გვარწმუნებენ, სიცრუე ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამომსვლელი ავტორი, ვინმე დულუმანი აცხადებს: - „იმ დროს, როცა საეკლესიო სწავლებით, დედამიწაზე იესო ქრისტეს უნდა ეარსება, ბევრი მეცნიერი და მწერალი ცხოვრობდა: იოსებ ფლავიოსი, ოსტინე ტიბერიადელი, პლექსიტუსი, სენეკა და სხვები, მაგრამ არც ერთ მათგანს სიტყვაც არ აქვს ნათქვამი ქრისტეზე.“

ეს ციტატა იმიტომ კი არ მოვიყვანე, რომ ამ დულუმანს აღნიშნული საკითხის ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად ვთვლი, არამედ იმიტომ, რომ ზუსტად იგივეს იმეორებს ჩვენი ყველა ათეისტი. მართალია, ზოგან მცირედი ვარიაციებიც გვხვდება (მაგალითად, დულუმანის ჩამონათვალს უმატებენ კიდევ ლიბერიუს სუმიუსს, ტაციტუსს და ბალანდიუსს), მაგრამ ამით ამოიწურება ძველი დროის მწერალთა ჩამონათვალი, რომლებიც, ჩვენი ათეისტების მტკიცებით, იმ პერიოდში ცხოვრობდნენ და არაფერი დაუწერიათ ქრისტეს შესახებ.

„...მაგრამ ის ჯეშმარიტად აღდგა!“

აქ ჯეშმარიტებას მხოლოდ ერთი რამ შეესატყვისება — ქრისტეზე მართლაც არ წერდნენ არც ოსტინე ტიბერიადელი, არც ლიბერუს სემიუსი და არც ბალანდიუსი, მაგრამ არ წერდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს „ძველი დროის მწერლები“ (როგორც მათ ანტირელიგიური ლიტერატორი უწოდებს) ბუნებაში არასოდეს არსებულან! არანაირი ლიბერიუს სემიუსი არ არსებულა არც ძველ დროში და არც გვიანდელ პერიოდში, არსებობდა ლავრენტიუს სურიუსი, მაგრამ ის ქრისტეს დროს კი არ ცხოვრობდა, არამედ, ზუსტად 10 საუკუნის შემდეგ.

კიდევ უფრო დიდი გაუგებრობაა „ძველი დროის მწერალ“ ბალანდიოსთან დაკავშირებით — არც იგი არსებულა როდესმე. იყო მონაზონი ბოლანი, მაგრამ ის 1 500 წლით გვიან ცხოვრობდა ქრისტეს შემდგომ, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თავისი თანადროული მოვლენების აღწერისას არ შეხებოდა ქრისტეს აღდგომას.

აგრეთვე მოგონილია ოსტინ ტიბერიადელი. ლიტერატურაში ცნობილია „ოსია მტკიცე“, რომელიც პალესტინის მოვლენების დროს ცხოვრობდა, მაგრამ იგი მწერალი კი არა, ლიტერატურული პერსონაჟია — ძველი ბიზანტიური თქმულების გმირი.

ამრიგად, ეს „ძველი დროის მწერლები“ ანგარიშში ჩასათვლელი არ არიან, მაგრამ მათ გარდა ჩვენი ათეისტები ახსენებენ იოსებ ფლავიუსს, პლინიუს უფროსს, ტაციტუსს. მათაც, როგორც ათეისტები ამბობენ, არანაირი მოწმობა არ დაუტოვებიათ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

დავიწყოთ იოსებ ფლავიოსით — როგორც ცნობილია, იგი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო ისტორიული მოწმეა, თავისი ცხოვრების დროით, შეიძლებოდა სახარებაში აღწერილი მოვლენების კურსში ყოფილიყო. ფლავიოსი არ იყო იესო ქრისტეს მიმდევარი, ამიტომ არ გვაქვს საფუძველი მისგან რაიმე ისეთ გაზვიადებას ველოდოთ, რაც ქრისტიანობისთვის იქნება სასარგებლო. მაშ, მართლაც არაფერს ამბობს ფლავიოსი იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ? ვინც ამას აცხადებს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, თუნდაც ცალი თვალით ჩაიხედოს მისი თხზულებების ფრაგმენტების კრებულში. იქ შავით თეთრზე წერია: — „ამ დროს აღმატებული იყო იესო, მაღალი სიბრძნის კაცი, თუკი შეიძლება მას ადამიანი ვუწოდოთ, სასწაულებრივ საქმეთა აღმასრულებელი. როცა ჩვენში უპირატესთა დასმენით პილატემ ჯვარს აცვა იგი, ისინი დაბრკოლდნენ, რომელთაც პირველად შეიყვარეს იგი. მესამე დღეს იგი კვლავ გამოეცხადათ მათ ცოცხალი.“

მაშ, როგორ შევუთავსოთ ამას ის განცხადებანი და მტკიცებანი, რომ იოსებ ფლავიოსი თითქოს სრულიად არ ახსენებს ქრისტეს?

ასი წლის წინათ ფლავიოსის ეს მოწმობა დააყენეს ეჭვქვეშ. საქმე შემდეგში იყო — თავიდან ცნობილი იყო ფლავიოსის ხელნაწერის მხოლოდ ორი ვარიანტი. ერთში სიტყვები „მესამე დღეს იგი გამოეცხადა მათ ცოცხალი“ — იყო, მეორეში — არა. ამის საფუძველზე ბაუერმა, შემდეგ მისმა მიმდევრებმა გადაწყვიტეს, რომ პირველ ვარიანტში ეს სიტყვები, ალბათ, უბრალოდ მოგვიანებით იქნა ჩამატებული ქრისტიანთა მიერ. ასე წარმოიშვა ლეგენდა ინტერპოლაციის შესახებ იოსებ ფლავიოსთან, მაგრამ მოგვიანებით ნაპოვნი იქნა კიდევ სამი ვარიანტი და ამ გვიანდელმა აღმოჩენებმა სრულიად სხვა დასკვნამდე მიგვიყვანეს. განსხვავება პირველსა და მეორე ვარიანტს შორის აიხსნება არა გვიანდელი ჩანამატით, მინაწერით პირველ ვარიანტში, არამედ გვერდების ნაწილის დაკარგვით მეორე ვარიანტში, რომელშიც არ აღმოჩნდა მთელი ორი თავი, რაც ცხადი გახდა მოგვიანებით ნაპოვნი სამი ვარიანტიდან. მათში ფლავიოსის სტრიქონები იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ, სამივეშია.

„მასში აღარ იყო იქ დაკრძალული ადამიანის სხეული...“

ბერძენი გარმიზიოსი

ბერძენ გარმიზიოსს იუდეის მემატიანის ოფიციალური თანამდებობა ეკავა პონტოელი პილატეს დროს. მისი ცნობები ორი მიზეზის გამო იმსახურებენ ყურადღებას: პირველი — ისინი შეიცავენ ცნობებს იუდეის ისტორიის შესახებ; მეორე — გარმიზიოსი მკვეთრად გამოირჩევა თავისი გადმოცემის მანერით.

გარმიზიოსის მოწმობები იმითაცაა ღირებული, რომ იესო ქრისტეს აღდგომის დღიდან იგი იმ ადგილთან ახლოს იმყოფებოდა, თან ახლდა რა პილატეს ერთ-ერთ თანაშემწეს. აღსანიშნავია ისიც, რომ გარმიზიოსი ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი ქრისტეს მიმართ და როგორც თვითონ ამბობს, არწმუნებდა პილატეს ცოლს, რომ არ შეეკავებინა ქმარი იესოსთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანისგან. თვით ჯვარცმამდე, გარმიზიოსი მას მატყუარად თვლიდა, ამიტომ, შაბათ ღამით, კვირის დადგომისას, საკუთარი ინიციატივით გაემართა უფლის საფლავისკენ, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო რომ მისი ჩვენებები ცრუ იყო; რომ მომკვდარი არასდროს აღდგება მკვდრეთით, მაგრამ საქმე სრულიად სხვაგვარად გამოვიდა.

გარმიზიოსი წერს: „მივუახლოვდით რა საფლავს ასორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, ჩვენ რიჟრაჟის სუსტ სინათლეში დავინახეთ საფლავთან მყოფი მცველები — ორი კაცი იჯდა, დანარჩენები კი მიწაზე იწვნენ. დიდი სიჩუმე იდგა. ჩვენ ნელა მივდიოდით და მალე საფლავისკენ მიმავალმა მცველებმა გადაგვისწრეს, რომელთაც უნდა შეეცვალათ იქ მყოფნი. Aანაზდად ძალზე განათდა. ჩვენ არ შეგვეძლო გაგება საიდან იყო ეს ნათელი. შორს დავინახეთ რომ იგი მომდინარეობდა მოძრავი მბრწყინავი ღრუბლისგან. იგი საფლავისკენ დაეშვა და ჰაერში, მიწის ზემოთ, ადამიანი გამოჩნდა, თითქოსდა სანთლისგან შემდგარი. შემდეგ ჭექა-ქუხილის ხმა გაისმა, ოღონდ ცაში კი არა, არამედ მიწაზე. შეშინებული მცველები ზე წამოცვივდნენ და მაშინვე მიწაზე დაემხვნენ. ამ დროს საფლავისკენ, ჩვენგან მარჯვნივ, ბილიკზე ქალი მიდიოდა რომელმაც უკვე ყვირილი დაიწყო: „გაიხსნა! გაიხსნა!“ და ახლა უკვე ჩვენც დავინახეთ, რომ მართლაც, მღვიმის შესასვლელზე აფარებული ვეება ლოდი, თითქოსდა თავისით გადაიხარა და საფლავის მღვიმეში შესასვლელი გაიხსნა. ჩვენ ძალზე შეგვეშინდა. მერმე, გარკვეული ხნის შემდეგ სინათლე საფლავის თავზე გაქრა და ყველაფერი ისეთივე გახდა როგორიც ჩვეულებრივ იყო. როცა ჩვენ ყოველიმე ამის შემდეგ აკლდამას (საფლავს) მივუახლოვდით, აღმოჩნდა, რომ მასში აღარ იყო იქ დაკრძალული ადამიანის სხეული.“

ცნობილი რომაული ოქროს მონეტა

გარმიზიოსის ჩვენებები კიდევ ერთის მხრივ არის საინტერესო — იგი წერს, რომ იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯამდე მცირე ხნით ადრე იუდეაში მოიჭრა მონეტა კეისრის (ტიბერიოსი) დიდი გამოსახულებით ერთ მხარეზე და პილატეს მცირე გამოსახულებით მეორე მხარეზე.

იესო ქრისტეს გასამართლების დღეს, როცა პილატეს ცოლმა მსახურები გაგზავნა ქმართან, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი, რომელთა მეშვეობით არწმუნებდა ქმარს, არ გამოეტანა ქრისტესთვის სასიკვდილო განაჩენი, თავის ბოლო წერილში იგი ეკითხებოდა ქმარს: რით გამოისყიდი დანაშაულს თუკი შენს მიერ განსჯილი მართლაც ღმერთის ძეა და არა ბოროტმოქმედი?

პილატემ ასე უპასუხა: „თუ ის ღმერთის ძეა, მართლაც აღდგება მკვდრეთით და მაშინ მე ავკრძალავ ჩემი გამოსახულების გაკეთებას მონეტებზე“. უნდა აღინიშნოს, რომ მონეტაზე გამოსახულების გაკეთება უდიდესი პატივი იყო გამოსახული პიროვნებისთვის.

... და პილატემ საკუთარი დაპირება შეასრულა, მან აკრძალა თავისი გამოსახულების აღბეჭდვა იუდეაში მოჭრილ მონეტებზე...

გარმაზიოსის ეს ცნობა დასტურდება იმ დროის ნივთიერი მტკიცებულებებით — რომაულ ნუმიზმატიკაში ცნობილია, რომ იერუსალიმში იმ დროიდან მონეტებს ჭრიდნენ მხოლოდ კეისრის გამოსახულებით...

ეიშუ სირიელის მოწმობა

სირიელი ეიშუ, ცნობილი მკურნალი, პილატესთან დაახლოებული და მისი მკურნალი, იმ დროის გამოჩენილი მედიკოსი იყო — ნატურალისტი, სახელგანთქმული აღმოსავლეთშიც და რომშიც. მან დატოვა ნაწარმოები, რომელმაც მთელი ეპოქა შეადგინა მეცნიერებაში, მხოლოდ ნაკლებად ცნობილმა ენამ შეუშალა ხელი მას, რომ სიცოცხლეშივე ყოფილიყო აღიარებული.

პილატეს დავალებით, შაბათ დღეს მან ორჯერ დაათვალიერა უფლის საფლავი და ისურვა თავის თანაშემწეებთან (ასევე მედიკოსებთან) ერთად ღამეც იქ გაეტარებინა.

ეიშუ წერს: „ჩვენ, ყველანი, მკურნალნიც და საფლავის მცველებიც, ჯანმრთელნი, მხნედ ვიყავით და არანაირი წინათგრძნობა არ გვქონდა. ამასთან, რა თქმა უნდა, სრულიად არ გვჯეროდა რომ მკვდარი ადამიანი შეიძლება აღდგეს, მაგრამ იგი მართლაც აღდგა და ჩვენ ეს საკუთარი თვალით ვიხილეთ.“ და შემდეგ იგი აღწერს მოვლენას ისევე, როგორც სხვები.

ზოგადად, ეიშუ სკეპტიკოსი იყო. თავის შრომებში იგი გამუდმებით იმეორებდა გამოთქმას, რომელიც შემდგომში მოარულ ანდაზად იქცა აღმოსავლეთში „რაც მე თავად არ მინახავს, იმას ზღაპრად ვთვლი.“

ნიშანდობლივია, რომ ქრისტეს აღდგომის დამოწმებისთვის ჩვენ იმ დროის ებრაელ მწერლებთანაც ვპოულობთ მონაცემებს, თუმცა სავსებით გასაგებია, რომ ის ებრაელები, რომლებიც ქრისტიანები არ გახდნენ, უფრო მიაჩუმათებდნენ მისი მკვდრეთით აღდგომის ფაქტს, ვიდრე დაწერდნენ. მიუხედავად ამისა, იმ დროის დიდ ებრაელ ავტორებთან ჩვენ ვხვდებით ისეთებსაც, რომლებიც პირდაპირ წერდნენ ამ ფაქტის შესახებ. ესენი არიან: ქრისტე გალილეველი, მესოპოტამიელი, შაბრუნი-მამა, Fერნანდო სარეპტიდან, ნავინ ანტიოქიელი, მაფერკანტ იერუსალიმელი.

(გაგრძელება იქნება)

ვინ აუნაზღაურებს „ბავშვთა სამყაროს“ მოიჯარეებს ზარალს?

ორ კვირაზე მეტია, „ბავშვთა სამყაროს“ დამწვარ შენობასთან კარვებია გაშლილი. აქციაში მონაწილეები შიმშილობენ, რომელთა უმეტესობა ქალბატონებია.

ჩვენ დავინტერესდით მათი ყოფით და „ბავშვთა სამყაროსთან“ მიმდინარე აქციაზე ვესტუმრეთ. აქვე სათქმელია, რომ დაზაფრულ-დაზარალებულ ხალხს საუბრის დიდი ხალისი არ აქვთ, მაგრამ აქციის მონაწილეებმა ქეთევან ხუნჯუამ და დალი გელაშვილმა რამდენიმე კითხვაზე მაინც გვიპასუხეს.

— თუ იცით, გამოძიება როგორ მიმდინარეობს, რა ეტაპზეა?

— ვერაფერს გეტყვით, არაფერი ვიცით, რადგან არავინ არაფერს გვეუბნება. ხანძრის შემდეგ პირველ დღეებში მოდიოდნენ სამართალდამცავები და გამოძიებას აწარმოებდნენ. როგორც ვიცით, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ ჩაატარა ექსპერტიზა. ვერ გეტყვით, რა გამოიკვლიეს, ხანძრის გამომწვევი მიზეზები თუ შენობის მდგრადობა, რადგან, როგორც გითხარით, არავინ არაფერს გვეუბნება. საერთოდაც, არავის აინტერესებს ჩვენი ბედი.

რამდენი კვირაა, ჩვენთან აქციაზე არავინ მოსულა — არც პოზიცია და არც ოპოზიცია. არჩევნების წინ ხომ მოდიოდნენ ხვეწნით, ხმა მოგვეცითო. მოვა კიდევ არჩევნები. ეგ კი არა, სახალხო დამცველსაც მივმართეთ დახმარებისთვის, უჩა ნანუაშვილმა კი ოფიციალური წერილით გვიპასუხა, თქვენი საკითხი ჩვენი საქმე არ არისო და მოგვიცილა თავიდან. თუ სახალხო დამცველს გაჭირვებული ხალხის ბედ-იღბალი არ ანაღვლებს და არც მისი საქმეა, აბა, რისი სახალხო დამცველია?

ყველას სხვადასხვა ბანკებიდან გვქონდა სესხი აღებული, ახლა აღარც ფული გვაქვს და აღარც საქონელი, რომ ვივაჭროთ. რითი და როგორ დავფაროთ ბანკის ვალი, არავის აინტერესებს. ერთი ქალბატონი უკვე გარდაიცვალა გულის შეტევით, ვერ გაუძლო ასეთ ვითარებას.

— როგორც თქვეს, ზარალის კომპენსაცია „ბავშვთა სამყაროს“ ხელმძღვანელობამ უნდა გასცესო. დირექტორი გიორგი მაჭავარიანიც ხომ თანახმაა?

— დიდი ხანია, აქ არც გიორგი მაჭავარიანი გამოჩენილა, როგორც გითხარით, ჩვენი ბედი არავის აინტერესებს და არც მას. რაც შეეხება კომპენსაციას, გიორგი მაჭავარიანმა გვითხრა, რომ ელოდება გამოძიების დამთავრებას, თუ როგორ დასკვნას გამოიტანს. იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ხანძარი ხელოვნურად იყო გამოწვეული, ჩაგვირიცხავს სადაზღვევო კომპანია 6 მილიონს და გადავიხდი კომპენსაციას, თუ უარი მითხრეს, რა ვქნა, მეც თქვენსავით ვარ დახარალებულიო, გვეუბნება.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ან თუ გსმენიათ თუნდაც ვარაუდი, ხანძარი შემთხვევით გაჩნდა თუ ხელოვნურად იყო გამოწვეული?

— რა გითხრათ, ნებისმიერ შემთხვევას ჭორები ახლავს. აქაც ასეა, ზოგი ერთს ამბობს, ზოგი მეორეს.

როგორც გავიგეთ, „ბავშვთა სამყაროს“ დანგრევას უპირებენ და მის ადგილას ახალ ნაგებობას ააშენებენ. თუმცა ესეც მოარული ხმებია, დაზუსტებით ვერ შეუძლებელია რაიმეს თქმა. იმასაც ამბობენ, აქ დამწვარი შენობის წინ სამსართულიანი შენობის აშენება უნდათ, რომელიც მეტროს ჩასასვლელამდე გაგრძელდებაო. ჭორები, იცოცხლეთ, ბევრია. რაც უნდათ, ის გააკეთონ, ოღონდ ჩვენ ნუ გაგვწირავენ და ბანკების ვალებში ნუ დაგვახრჩობენ.

P.S. პროფესიონალი, გამოცდილი მეხანძრეების განცხადებით, თუ ხანძრის გაჩენის რამდენიმე, თუნდაც ორი კერა არსებობს, ეჭვს ბადებს, რომ ხანძარი ხელოვნურად არის გაჩენილი. თვითმხილველი მეხანძრეების განცხადებით, „ბავშვთა სამყაროს“ მთელ შენობას ერთბაშად წაეკიდა ცეცხლი.

საგულისხმოდ მეჩვენა ჩემი მეგობრის სიტყვები: „...ბავშვთა სამყარო“ მაშინ დაიწვა, როდესაც ექვს მილიონად დააზღვიესო“. ვერსიები ვერსიებად, მაგრამ ბოლოსდა ბოლოს, სიმართლე ხომ უნდა დადგინდეს და ამ გაუბედურებულ ადამიანებს რაღაცით ხომ უნდა ეშველოს?.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას?

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ:

ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება;

ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს;

გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

* * *

— წარმოშობს თუ არა ჯვრისწერა მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს?

— არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

— რა არის მეუღლეთა თანასაკუთრება?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158–ე მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანასაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ–ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159–ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

* * *

— ვრცელდება თუ არა იპოთეკა უძრავი ქონების ნაყოფზე?

— არა. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 293-ე მუხლის მიხედვით, იპოთეკა არ ვრცელდება უძრავი ნივთის ნაყოფზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ანუ, თუ, მაგალითად, იპოთეკის საგანია მიწის ნაკვეთი, ამ მიწაზე მოსული შემოსავალი ეკუთვნის მის მფლობელს, თუ რა თქმა უნდა, მხარეები თავიდანვე არ შეთანხმდნენ საწინააღმდეგოზე.

* * *

— რას ნიშნავს სისხლის სამართლებრივად ტრეფიკინგი?

— მუხლი 1431. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ტრეფიკინგი, მოცემული სისხლის სამართლის ნორმის შესაბამისად, ნიშავს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებსა, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ანდა მიღებას ექსპლუატაციის მიზნით.

მუხლი 1432. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

არასრულწლოვნის სემთხვევაში კი ტრეფიკინგი ნიშნავს არასრულწლოვნის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე მის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ანდა მიღებას ექსპლუატაციის მიზნით.

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კოფორტული მომსახურება 24 სააათის განმავლობაში

მეგრული პოეზიის ანთოლოგია

მეგრული პოეზია ლამის ორი საუკუნეა, რაც წვეთ-წვეთობით გროვდება ფოლკლორული ნიმუშების დონეზე — **ა. ცაგარელის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, კ. სამუშიას, ტ. გუდავასა** და **აპ. ცანავას** გამოცემებში. წინამდებარე კრებული ჯერეროვნად ესესხება წინა თაობების მონაგარს და ძირითადი რეპერტუარი მაინც ახალი გვარ-სახელებია, ახალი ინტონაციები და განწყობილებანი. თუმცა ჩვენ ამ გამოცემას წამითაც არ ვანიჭებთ რჩეულის, ან შედევრების პოეტურ კრებსითობას, არამედ, მოვიშველიებთ ოქრომრავალი კოლხეთის უშუალო შთამომავალთა სულიერების ესთეტიკურ პასპორტად;

რაც შეეხება თავად მეგრულ ლექსს, აქ დაძლეულია პოეზიის ყველაზე ურთულესი სახე — ეპიკა და მაინც მის მასულდგმულებელ წყაროდ ლირიკა გვევლინება. წარმოდგენილი წიგნი ამსხვრევს ხალხური შემოქმედების ტრადიციული პოეტური საზომის — შაირის არტახებს და გზადაგზა კლასიკურ ფორმებსაც გადაწვდება, როგორიცაა: ტრიოლეტი, სონეტი, რობაია, ვერლიბრი, იაპონური ტანკა თუ ხაიკუ. თავად

მეგრული პოეზიის სათავე მითოსური წარსულიდან საწყისდება, სადაც მზე დედაა ჩვენი, მთვარე — მამა და სახეგაბადრული ვარსკვლავები — და-ძმანი, ანუ, მისი სხეული ფორმირებულია სამყაროს მხარდამხარ და აზროვნებს ამ სიდიდის სწორუპოვარი ძეობილის უფლებამოსილებით. ესთეტიკური კრიტერიუმებით მეგრულ ლექსს გამოარჩევს აღმოსავლური პოეზიისთვის ნიშანდობლივი სისადავე და ევროპული ჭვრეტა შუმერული „მე“-ს პოზიციიდან. ამ მისტერიაში კი მისი მახასიათებელი მთავარი ფასეულობა შუბლის ძარღვია, რასაც განაგებს მზისგან მიწის ჩამოწყვეტის მომსწრე ყველგანმავალი დრო — ნებისმიერი მოკვდავისთვის პატივის მიმგები დამსახურებისამებრ სიცოცხლის სასრულს.

„მეგრული **პოეზიის ანთოლოგია“** ფოლკლორის კვალდაკვალ წარმოგვიდგენს განსხვავებული ასაკისა და პოეტური ტემპერამენტის ერგას (50), ნათელში მყოფ თუ სვეკურთხეულ ავტორებს, რომელთა შემოქმედება წიგნში მხოლოდ ნაწილობრივადაა ასახული. გამოცემის მიზანია მეგრული ლექსის გატანა საერთაშორისო არენაზე და ყოველივე ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ცნობილ ქართველ ქველმოქმედებს: **ომარ ღურწკაიასა** და **სულხან პაპაშვილს**. დარწმუნებული ვართ, დასახელებული გამოცემა უეჭველად აღუძრავს ამაღლებულ განცდას ნებისმიერ ჭეშმარიტ მკითხველს, რათა **იოანე-ზოსიმეს** წერილისამებრ ცივილიზებულმა კაცობრიობამ კოლხური სული აღიქვას, როგორც **ლაზარეს** აღდგინება, როგორც წვეთიდან ოკეანეს აღმოცენება, როგორც გვიმრუჭას ხე-გვიმრად აღზევების მისტერია და დღე ერთი იგი გასაგნიერდეს, ვითარცა წელი ათასი.

კოლხური კულტურის აღორძინების საქველმოქმედო ფონდი

„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ გამომცემლობა „ივერიონმა“ დასტამბა.

პროექტის ავტორია **გური ოტობაია,** პროექტის მენეჯერი **იური გუგუჩია,** რედაქტორ-კონსულტანტები: საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი,** აკადემიკოსები **ავთანდილ არაბული, აპოლონ სილაგაძე.**

წიგნი დაიბეჭდა ცნობილი ქართველი ქველმოქმედების: **ომარ ღურწკაიასა და სულხან პაპაშვილის** მხარდაჭერით.

„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ 704 გვერდისგან შედგება, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით.

წიგნში შესულია როგორც მეგრული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები, ასევე ცნობილი პოეტების ლექსები მეგრულ ენაზე.

დარწმუნებული ვართ, მეგრული პოეზიის მოყვარულები დიდი ინტერესით გაეცნობიან აღნიშნულ გამოცემას.

„მეგრული **პოეზიის ანთოლოგიის“** შეძენა მსურველებს შეუძლიათ წიგნების მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსში“.

ცნობებისთვის მიმართეთ: 571 21 27 70.

ISSN 2233-3783
9 772233 398001

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი:
ვახტანგ ხარჩილავა

დანიელ ფიფია

ბორჯი

ბორჯი, ირფელჷ სი გობარგ,
ულირჷ, რენი დო მგმალგ,
სო რე ბორჯი სი ვაყოფექ,
სო ვემჷოხე სქანი ნალგ.
მირსიოლუქ უმუხარცქო
ირო ართი ნერი მალგ.
სი გიჩქ სოდე მი ჩილათე,
სო მის უღუ ნაინალგ.
სი რშგ თინა, მუთი ვაშგ
მითინც ცა დო დიხა შქას,
სი უჯინედ სარიკოს–
ბჟაშე დიხაშჷ მოხარცქას.
სი ვარენო გიჯინუნი
დიხაშჷ პირველჷ დორთაფაშა,
სი გიჯინუ პირველჷ სერშა,
პირველჷ დღაში გოთანაშა.
სი მითინც პატის ვაცე,
სამართალი გიღუ თინუ,
ხვალე ართი – სკანი წკალა
მითინც ხანდა ვაუდინუ.
კოჩი მუში მოჯგირეს
ჯა დო ქუას ოყოთანც,
უბადოში ცქვაფა უჩქგ,
ჯგირც თხოზგ დო ოგორანც.
არძო ფირქენც მუ ორთგნი
საქმეს შხვაში უჯგუშის,
ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა,
ირკოცს არძენც მუშუშის.

მურთაზ ჩახავა

შურიშჷ რტინი

დიისერგ უსერეთ,
ცა გიორე ონგარჷ დღას,
ქარჷ იმბარს დო ფურცელეფს,
ევრე-ავრე ოფართხანს.
გოვალ, გოტყვაც თოლონჭეს,
ცაქ გიხირიტ საბჟალეს,
შქურნაფილჷ ტორონჯეფქ
გვალა გეგნიტკარჩალეს.
სო იდი დო სო ფურინი,
სო იდი დო სო ფურინი,
ქარწყექ მუჭო დობღურინი,
ნიტე ღურელჷ ქოპუნინი.
გურქ ეკომცუ ქუმუცალო,
თოლეფქ ემაფშგ ვალუას,
მუ გურზუ დო მუ მუცადუ
ჩხანაშჷ გითოფალუას.

გური ოტობაია

გვიმარა

ოხვამერგ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
ვეკანგარა ირიათო
თი თუთა დო თი მარას,
ოხვამერგ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!
ჩელაია ნირსი ცაშე მირაცვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ,
ოხვამერგ ჯა რდი, მარა,
დეჩიჩიო, გვიმარა?!
შხურიშჷ ტყეების გეჭარუდუ სქანჷ ნინაშა,
მუჭო ოკო ონდღულესკო ფულანდი,
ითამგ კუჩხი გეჷდგუმუდკო ტინტილაშა,
ეკორჩვილი გილეში დო ქულანდი!
შხურიშჷ ტყეების გეჭარუდუ სქანობურო,
ორქო ქვიშაშჷ კორობუაშჷ წესეფი,
გიკურცხინე, გიკურცხინე, გოლვაფირო,
სი მუნაფას გიწილოხუნს მესეფი!
ოხვამერჷ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
ბირგულჷ მუშენჷ გიდირკუ,
კოლხურჷ ბირაშჷ მარჩქილეს,
ქარწყექ – ჰავაქ ქიდირქუ,
ფსუა გეკოვარჩხილე!
ქიგიშინი ხიოლი,
რე მუმულიშგ ყიონი,
მობაღუნა ქირონი,
უზისხირე, გვიმარა!
ნჭყოლირჷ გური მუჭო ვემკისქილადე,
ღურა თელათ მუჭო ვემკიზგილატე,
კოლხიდაშე ლანდი ქიდოსქილადე,
უზისხირე, გვიმარა!
ჩელაია ნირსი ცაშე მირაყვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ.
ოხვამერჷ ჯა რდი, მარა,
დეჩიჩიო, გვიმარა?
გიკურცხინე, გოლვაფირო,
ვარა გიმორჯგინანა!
ქიგიშინი თი მარა,
ქარწყექ – მუსხის გიღვარა?!
გემწოდირთი, გემწოჟვენგი,
გემწოსოფი, გვიმარა!

ვახტანგ ხარჩილავა

ბევრი სიძულვილის გამო

ბევრი სიძულვილის გამო,
ბევრი ბოროტების გამო,
კიდევ ბევრი შურის გამო,
ჭყელი ვორეთ ერებამო.
საუკუნეს მიაფინე,
შენ სუდარა, შავო წამო,
თე ქიანა, რხინაფილი
დინაფილჷ რე ერებამო.
ჟღვერთილი დო ნაჭვემარი,
ჟი ცა რე დო თუდო დიხა,
ცას და მიწას გამჭვირვალე
ცრემლის კედლით გადატიხრავ.
აქეთ შენ და იქით – სხვები,
შქას მეურცუ ჩილამური,
ანგელოზებს ესიზმრება
სქანწკმა რინა მილამუნი.
ბევრი სიძულვილის გამო,
ბევრი ბოროტების გამო,
კიდევ ბევრი შურის გამო,
ჭყელი ვორეთ ერებამო.